ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 20 სექტემბერი, 2019 №223 (8177) ფასი: 60 თეთრი

ბავშვთა პორნოგრაფიის გამო საქართველოში 11 პირი დააკავეს

მათ შორის 3 ადამიანი 1 ოჯახის წევრია

გვ.5

გვ.5

„გაიხუმრა კიდეც ჩემმა საცოლემ, გადავრჩებიო?“

რუსთავში გარდაცვლილი მარიამ სალაყაიას საქმრომ თვითდაზიანებები მიიყენა

„ივანიშვილმა აღიარა, რომ ოქრუაშვილი მისი პირადი პატიმარია“

გვ.2

„20 მილიონი რომ შეეთავაზებინა დაცვის მხარეს, მას მაინც ციხეში დატოვებდნენ“

ირაკლი ოქრუაშვილი, თორნიკე დათაშვილი და გიორგი ჯავახიშვილი სასამართლომ პატიმრობაში დატოვა

გვ.3

„ზურაბიშვილს ღირსების ნატამალი რომ ჰქონდეს, უკვე გადამდგარი იქნებოდა“

ალეკო ელისაშვილი: „ეს საქმეები პრეზიდენტს დიმიტრი გაბუნიამ შეუტანა“

„პრეზიდენტის რეიტინგი კიდევ დაეცემა“



გვ.3

„საგანგაშოა, როცა ხალხის თითქმის ნახევარი 20 ივნისის მოვლენებში გახარიას როლს ხედავს“

გედი ფოფხაძე: „ოცნებას“ ნაცმოძრაობაზე უპირატესობა ჯერ კიდევ აქვს“

გვ.4

გვ.4

„სალომე ზურაბიშვილს მაისში შევუთვალე, რომ შეწყალების პროცესში პროვოკაციას მოუწყობდნენ“

სამართალი გვ.5

საქართველომ რუსეთს ჩეჩენი რამზან ახიადოვი გადასცა

თბილისში სიგარეტის ნამწვის გამო 2 მანქანა დაიწვა

ხაშურთან ტრაილერი პატრულის მანქანას დაეჯახა

ეკიპაჟის დაშავებული წევრი თბილისში ვერტმფრენით გადაიყვანეს

2 „ქალათში ვტოვებ 2 ცალ პამპერსს. მისი მიტოვება ჩემთვის სიკვდილს ნიშნავს“

თბილისის სკვერში მიტოვებული ჩვილი იპოვეს

2 ნინო ლომჯარია: „როცა პრემიერად გახარია დაინიშნა, თადუმაძეს კი მოსამართლეობა სურს, 20 ივნისის გამოძიება ობიექტური არ იქნება“

6 ნაყინის საყიდლად წასული ცოლ-ქმარი გამდიდრდა

7 რეალმა პსჟ-სთან წააგო, იუვენტუსმა მოგება ბოლოს დაკარგა

ISSN 1987-9385

„ივანიშვილმა აღიარა, რომ ოქრუაშვილი მისი პირადი პატიმარია“

„20 მილიონი რომ შეეთავაზებინა დაცვის მხარეს, მას მაინც ციხეში დატოვებდნენ“

ნონა ცაბაძე

გუშინ, 19 სექტემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ 20-21 ივნისის აქციების მოვლენების გამო დაკავებული ირაკლი ოქრუაშვილი, თორნიკე დათაშვილი და გიორგი ჯავახიშვილი პატიმრობაში დატოვა.

სასამართლო სხდომაზე, სადაც აღკვეთის ღონისძიების გადახედვასა და მტკიცებულებების დასაშვებობის საკითხზე იმსჯელეს, ირაკლი ოქრუაშვილი პროტესტის ნიშნად არ გამოცხადდა.

ოქრუაშვილის ადვოკატმა მამუკა ჭაბაშვილმა სასამართლოს შუამდგომლობით მიმართა, ოქრუაშვილს პატიმრობა 500.000-ლარიანი გირაოთი შესცვლოდა. ამასთან, აღნიშნა, რომ არ არსებობს ოქრუაშვილის მხრიდან დანაშაულის ჩადენისა და მიმალვის საფრთხეები.

ოქრუაშვილს თავდებში უდგებოდა რამდენიმე ადამიანი, მათ შორის, ჟურნალისტი ინგა გრიგოლია და ოპოზიციის წევრი პაატა დავითაია.

– პატიმრობა უნდა შეეცვალოს, გვაქვს ახალი გარემოებები. გთავაზობთ 500.000 ლარს გირაოს სახით, ეს საკმაოდ სოლიდური თანხაა, – აღნიშნა მამუკა ჭაბაშვილმა.

ბრალდების მხარემ მიიჩნია, რომ ოქრუაშვილის მიმართ პატიმრობა არ უნდა შეიცვალოს, რადგან არსებობს მიმალვის, ახალი დანაშაულის ჩადენისა და მტკიცებულების განადგურების საფრთხეები.

რაც შეეხება ბრალდებულებს გიორგი ჯავახიშვილსა და თორნიკე დათაშვილს, მოსამართლის კითხვაზე, ცნობს თუ არა თავს დამნაშავედ, ბრალდებულმა ჯავახიშვილმა უპასუხა, რომ თავს ნაწილობრივ ცნობს დამნაშავედ, ხოლო ბრალდებულმა თორნიკე დათაშვილმა აღნიშნა, რომ თავს დამნაშავედ სრულად ცნობს.

ორივე ბრალდებულის ადვოკატებმა სასამართლოს პატიმრობის შეცვლითა და 5.000-5.000-ლარიანი გირაოს შუამდგომლობით მიმართა.

საბოლოო ჯამში, სასამართლომ ბრალდების მხარის პოზიცია გაითვალისწინა და სამივე პირი პატიმრობაში დატოვა.

პროცესის დასრულების შემდეგ „ახალი თაობა“ რამდენიმე ადამიანს ესაუბრა.

ირაკლი ოქრუაშვილის პარტიის წევრმა გურამ ჩალაგაშვილმა სასამართლოს ჩვეულებრივი სპექტაკლი და შოუ უწოდა.

– ხომ ვნახეთ, მოსამართლე მოსაფიქრებლადაც კი არ გასულა, პირდაპირ სხდომაზევე გამოაცხადა გადაწყვეტილება. არ მიიღეს ნახევარმილიონიანი გირაო. დღეს ბიძინა ივანიშვილმა პირდაპირ აღიარა მოსამართლის პირით, რომ ირაკლი ოქრუაშვილი არის მისი პირადი პოლიტპატიმარი და შეეცდება, რაც შეიძლება დიდხანს ჰყავდეს ციხეში.

სამივე პირი დატოვეს პატიმრობაში, არც ერთ მათგანს არ გაუფორმეს საპროცესო. აი, ასეთი სასამართლო სისტემა გვაქვს ჩვენ. ერთი ბატონის ხელშია ეს სისტემა, – გვითხრა გურამ ჩალაგაშვილმა.

ირაკლი ოქრუაშვილს თავდებში უდგებოდა ჟურნალისტი ინგა გრიგოლია.

– ინგა, რას იტყვით ამ ყველაფერზე და რატომ უდგებოდით ირაკლი ოქრუაშვილს თავდებში?

– ირაკლი ოქრუაშვილს თავდებში დავუდექი, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ის ჩემი მეგობარია, წლების მეგობარია და პოლიტიკური კუთვნილების მიხედვით მეგობრებს მე არ ვირჩევ. მეორეც, ადამიანი იყო უცხოეთში და ჩამოვიდა. საერთოდ ვერანაირ საფრთხეს ვერ ვხედავ, რომ მან შეიძლება ქვეყანა დატოვოს, მიიმალოს და ასე შემდეგ. მესამე ის არის, რომ მჯერა, ისიც გარეთ რომ იყოს, როგორც ნიკა მელიას შემთხვევაში მოხდა, რადგან ერთსა და იმავე მუხლზეა საუბარი, იმავე ელექტროსამაჯურით, ეს ხელს ნამდვილად არ შეუშლის გამოძიების პროცესს.

აი, ეს იყო ჩემი გადაწყვეტილების მიზეზი, ირაკლის თავდებში ჩავდგომოდი.

ოქრუაშვილს თავდებში უდგებოდა ოპოზიციონერი პაატა დავითაიაც.

– ბატონო პაატა, რას იტყვით ამ საქმეზე და ამ გადაწყვეტილებაზე? რატომ უდგებოდით ირაკლი ოქრუაშვილს თავდებში?

– ირაკლის თავდებში ვუდგებოდი იმის გამო, რომ მას ძალიან ახლოს ვიცნობ, ახლო ურთიერთობა მაქვს მასთან. აქედან გამომდინარე, დარწმუნებული ვიყავი, რომ ის არ დაარღვევდა აღებულ ვალდებულებას.

ამ სიტუაციაში გესაუბრებით როგორც იურისტი და არა – როგორც პოლიტიკოსი. თავის დროზე, როდესაც მედიის საშუალებით ვრცელდებოდა, რომ ის ეჭვმიტანილი იყო და მაშინ ის საფრანგეთში მიდიოდა, მაშინ ირაკლიმ ნებართვა ითხოვა წასვლაზე, მერე, როცა დაიბარეს, დაბრუნდა.

– ანუ მიმალვის საფრთხე არ შეიქმნებოდა?

– დიახ, მას არც მანამდე უცდია მიმალვა. პროკურატურის პოზიცია იყო, რომ მას აქვს საზღვარგარეთ კავშირები. ეს იყო მისი მოტივი, რაც სრული აბსურდია, ამ სიტუაციიდან გამომდინარე.

ის წინა ხელისუფლების დროსაც დაბრუნდა, უარი თქვა პოლიტიკურ თავშესაფარზე, ჩამოვიდა და ჩაჯდა ციხეში. აქედან გამომდინარე, მოტივი იმისა, რომ დაიმალება საზღვარგარეთ, არ არსებობს. ყველაზე საინტერესო მომენტი არის ის, რაც დაცვის მხარემ მოითხოვა.

– 500 ათას ლარიანი გირაო?

– დიახ, 500 ათას ლარიანი გირაო. ამაზეც უარის თქმამ ძალიან ბევრი კითხვის ნიშანი გამიჩინა.

– რატომ?

– ბოლო ხანს უფრო მძიმე დანაშაულში ეჭვმიტანილ ადამიანებს 500 ათას ლარიანი და ცოტა მეტი ოდენობის გირაოს სანაცვლოდ აღკვეთის ღონისძიება შეუცვალეს. ეს ძალიან კარგია, მივესალმები, მაგრამ ამ სიტუაციაში უარის თქმა იყო აბსურდი.

– საქმე შერჩევით სამართალთან გვაქვს?

– ამას შერჩევითი სამართალიც არ აქვია. ამას ჰქვია კაცის ციხეში მიზანმიმართულად ჩატოვება. ყველამ ნახა, რომ ჩემ გარდა თავდებში უდგებოდნენ ცნობილი ჟურნალისტები და ცნობილი ადამიანები. აქედან გამომდინარე, ჩვენც ხომ ჩვენს წილ პასუხისმგებლობას ვიღებდით იმ მომენტში.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ოქრუაშვილი ჩვენი სიტყვის ფასად მაინც არ წავიდოდა, თანაც 500 ათას ლარს დადებდა. მოსამართლეს შეეძლო, გაეტარებინა ისეთი ღონისძიება, როგორიც არის პასპორტის ჩამორთმევა და სხვა ბევრი სამართლებრივი ბერკეტი არსებობს ამისა, რომ ოქრუაშვილი იყოს აქ.

– მოწმეებზე ზეწოლას მოახდენსო, ეს იყო კიდევ არგუმენტი.

– მოწმეები არიან მხოლოდ პოლიციელები, ამიტომ მოწმეებზე ზეწოლა გამორიცხულია. პოლიციაზე ზეწოლა, თქვენც ხვდებით, რას ნიშნავს. ეს არის უმძიმესი დანაშაული.

ვერ ვიგებ, რა უნდათ. ეს უკვე შერჩევითი სამართალიც აღარ არის. სახელმწიფო ბიუჯეტში დადებდა ნახევარ მილიონ ლარს და მოსამართლე ამაზე ეუბნება უარს. ნახევარი მილიონი კი არა, 20 მილიონი რომ შეეთავაზებინა დაცვის მხარეს, მაინც უარს ეტყოდნენ. მართლა ვერ ვიგებ, რაში სჭირდებათ ციხეში ირაკლი ოქრუაშვილი.

– ეს არის პირადი ანგარიშსწორება?

– სხვა ახსნა არის?! იმაზე, რომ სასამართლო სისტემა დამოუკიდებელი არ არის, ყველა ვთანხმდებით. მოსამართლე, უბრალოდ, ვიღაცის ნების შემსრულებელია და მეტი არაფერი. ეს ცალსახად ჩანს.

ამ საარჩევნო პერიოდში რაში სჭირდებათ ოპოზიციონერი ლიდერის ციხეში ჯდომა, არ ვიცი! მთავარი ჩვენებები, რომლებიც საქმეში დევს, იცით, რა არის? რომ ის იქ იდგა, ვიღაცა ეჯიკავებოდა და ესეც ეჯიკავებოდა. ამაში ადამიანი ნახევარ მილიონს იხდიდეს და მაინც არ უშვებდე, არ ვიცი, რა ვთქვა.

– სასამართლომ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო?

– რა თქმა უნდა, ეს ცალსახაა! ამას სხვა სახელი არ აქვს.

ნინო ლომჯარია: „როცა პრემიერად გახარია დაინიშნა, თადუმაძეს კი მოსამართლეობა სურს, 20 ივნისის გამოძიება ობიექტური არ იქნება“

სახალხო დამცველ ნინო ლომჯარიას განცხადებით, იმ ფონზე, როცა პრემიერ-მინისტრად გიორგი გახარია დაინიშნა, ხოლო გენერალურ პროკურორს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობა სურს, ჩნდება განცდა, რომ პროკურატურა 20-21 ივნისის მოვლენების გამოძიებისას ობიექტური არ იქნება.

– მთხოვეთ, შემეფასებინა პრემიერად ბატონი გიორგი გახარიას დანიშვნა. რა თქმა უნდა, მე პოლიტიკურ შეფასებებში არ შევალ, თუმცა 20-21 ივნისის მოვლენების გათვალისწინებით ვიტყვი, რომ დღეს გვაქვს მდგომარეობა, როდესაც შს მინისტრი, რომლის ყოფილი თანამშრომლების მიერ ჩადენილი სავარაუდო სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტებს პროკურატურა სწავლობს, დღეს პრემიერ-მინისტრია.

პროკურატურა იკვლევს, სავარაუდოდ, როგორც შსს-ს მაღალი თანამდებობის პირების, ასევე რიგითების როლს უფლებამოსილების გადამეტების მიმართულებით.

მეორე მხრივ, გვყავს გენერალური პროკურორი, რომელიც მონაწილეობას იღებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კონკურსში. ის წარდგენილია 20-კაციან სიაში და ელოდება უმრავლესობის მხარდაჭერას, იმისათვის, რომ არჩეული იყოს უზენაეს სასამართლოში მოსამართლედ. რა თქმა უნდა, ეს გარემოებები ინტერესთა კონფლიქტის განცდას მიჩენს და, რა თქმა უნდა, ალბათ, უფრო მეტია რისკი იმასთან დაკავშირებით, რომ შესაძლებელია, პროკურატურა არ იყოს ძალიან მკაცრი ან ობიექტური ამ საქმის გამოძიების დროს.

ჩვენ ვაკვირდებით გამოძიებას 20-21 ივნისს პოლიციელთა მხრიდან სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულების თაობაზე. გამოძიება ნამდვილად მიმდინარეობს და ეს არ არის უბრალოდ ფრაზა, – განაცხადა ნინო ლომჯარიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე მოხსენებით გამოსვლისას.

„კალათში ვტოვებ 2 ცალ პამპერსს. მისი მიტოვება ჩემთვის სიკვდილს ნიშნავს“

თბილისის სკვერში მიტოვებული ჩვილი იპოვეს

გუშინ, 19 სექტემბერს, თბილისში, საბურთალოზე, მიტოვებული ჩვილი იპოვეს.

ახალშობილი ბიჭი, რომელიც კალათაში იყო მოთავსებული, სტუდენტმა იპოვა. ჩვილი დაახლოებით ერთ თვემდე ასაკისაა.

კალათში საბავშვო საფენები და დედის წერილიც იდო.

წერილის შინაარსი პრაიმტაიმისთვის ცნობილი გახდა.

„ვინც ჩემს შვილს იპოვის, ბოდიშს ვუხდი. ღმერთმა დიდი ბედნიერება მარგუნა, მაგრამ არ შემიძლია, შვილს მოვუარო. მისი მიტოვება ჩემთვის სიკვდილს ნიშნავს. ჯერ ისე პატარა და ისე უმწეოა... თუმცა, ის შიმშილით სიკვდილისთვისაა განწირული. ჩემი პატარას მიტოვება იძულებითი გადაწყვეტილებაა, მაგრამ რეალობა, რომელშიც მე ვცხოვრობ, ამას მაიძულებს. დღეს მხოლოდ 1.60 ლარი მქონდა, კალათში ვტოვებ ორ ცალ პამპერსს.

შვილო, როცა გაიზრდები, ალბათ, მაპატიებ, სიცოცხლის ბოლო წამამდე შენზე ვიფიქრებ და ცრემლს არ გავიშრობ, მაგრამ მირჩევნია ვიცოდე, რომ სადღაც, თუნდაც ჩემგან შორს, ცოცხალი ხარ. იმედი მაქვს, ღვთის შეწევნით, კარგი ადამიანების ხელში მოხვდები.

არ ვიცი, ჩემი დანაშაული ია თუ არა, რომ არ მაქვს ელემენტარული თანხა, რომ მოგიარო. შენ ხომ იცი, ჩემო პატარავ, რომ უკვე მესამე დღეა, მშიერი ვარ, მაპატიე, რომ დედობა ვერ შევძელი. იქნებ ოდესმე შევხვდეთ კიდეც. შენთვის ვილოცებ“, – წერს ქუჩაში ნაპოვნი ახალშობილის დედა.

ალმაშენებლის გამზირზე არაბი მამაკაცი დაჭრეს

თბილისში, აღმაშენებლის გამზირზე, მეტრო მარჯანიშვილის მიმდებარე ტერიტორიაზე, არაბი მამაკაცი დაჭრეს.

როგორც ინტერპრესნიუსს შს სამინისტროში განუცხადეს, ცხელ კვალზე 1 პირი დააკავეს.

გამოძიება 19/108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობის მცდელობას გულისხმობს.

ინციდენტის სავარაუდო მოტივი ურთიერთშელაპარაკება გახდა. შემთხვევა გუშინ, 19 სექტემბერს, მოხდა.

ზუგდიდში მანქანა სასწრაფოს დაეჯახა

5 ადამიანი დაშავდა

გუშინ, 19 სექტემბერს, ზუგდიდში, გამარჯვებისა და 8 მარტის ქუჩის კვეთაზე, ერთმანეთს სასწრაფო დახმარების მანქანა და მსუბუქი ავტომობილი შეეჯახნენ. შემთხვევისას დაშავებული 5 ადამიანი ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლი აცხადებს, რომ მას ხმოვანი სიგნალი ჰქონდა ჩართული და ავადმყოფი გადაჰყავდა.

მსუბუქი ავტომანქანის მძღოლი, ახალგაზრდა ქალი კი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

საქმე 276-ე მუხლის მეორე ნაწილით აღიძრა, რაც გულისხმობს ავტომობილის ან სხვა მექანიკური სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას, რამაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება გამოიწვია.

ნათია მეზვრიშვილი პრემიერის აპარატის უფროსად დაინიშნა

შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ნათია მეზვრიშვილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის აპარატის უფროსად დაინიშნა.

მეზვრიშვილი შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ 2017 წლიდან მუშაობდა, მანამდე კი, 2013 წლიდან, საპროკურორო საქმიანობაზე ზედამხედველობისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი იყო.

დღეს პარლამენტში ხალხს შეზღუდულად შეუშვებენ

დღეს, 20 სექტემბერს, პარლამენტის შენობაში დაშვების შეზღუდული რეჟიმი იმოქმედებს. შესაბამის განცხადებას საქართველოს პარლამენტი ავრცელებს.

– 20 სექტემბერს, რუსთაველის გამზირზე დაანონსებული აქციიდან გამომდინარე, „საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 30 დეკემბრის №259/3 ბრძანებით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად, იმოქმედებს პარლამენტის შენობაში დაშვების შეზღუდული რეჟიმი.

აღნიშნული ღონისძიების მიზანია შესაძლო პროვოკაციების პრევენცია და საქართველოს პარლამენტის წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისთვის სამუშაო პირობების უზრუნველყოფა, – ნათქვამია საქართველოს პარლამენტის განცხადებაში.

დღეს პარლამენტთან დაანონსებულია აქცია „სირცხვილია“.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 294-02-55
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი: 294-06-91
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ზურაბიშვილს ღირსების ნატამალი რომ ჰქონდეს, უკვე გადამდგარი იქნებოდა“

ალეკო ელისაშვილი: „ეს საქმეები პრეზიდენტს დიმიტრი გაბუნიამ შეუტანა“

ნონა ცაბაძე

გუშინ, 19 სექტემბერს, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან „სამოქალაქო მოძრაობის“ წევრებმა აქცია-პერფორმანსი გამართეს, რითაც ზურაბიშვილის მიერ მიღებული შეწყალების გადაწყვეტილება გააპროტესტეს.

„ახალი თაობა“ აქციის ორგანიზატორ **ალეკო ელისაშვილს** ესაუბრა.

– ალეკო, ძირითადად რას უკავშირდებოდა თქვენი პროტესტი, პრეზიდენტის მიერ სკანდალური შეწყალების საკითხს? როგორც შეწყალების კომისიის ყოფილ თავმჯდომარეს, რა მოსაზრება გაქვთ ამ ყველაფერთან დაკავშირებით?

– ჩვენ გვქონდა აქცია-პერფორმანსი. განვასახიერეთ და ქუჩაში გამოვიტანეთ ის, რაც, ჩვენი ღრმა რწმენით, ათონელის რეზიდენციის კაბინეტებში ხდება. ჩვენ დავწერეთ დაფაზე ინდმეწარმე პრეზიდენტი, საშემოდგომო ფასდაკლება შესაწყალებლად და ჩამოვწერეთ ტარიფები: მკვლელის, ძებნილის, ნარკომოვაჭრის, მექრთამის.

პრეზიდენტს შემთხვევით არ შეუწყალებია სამი მსჯავრდებული მკვლელობაში, ერთი ძებნილიც. აქ ფული გაკეთდა, ძალიან დიდი ფული.

– კორუფციის ნიშნებს ხედავთ ამ საქმეში?

– რა თქმა უნდა, კორუფციასთან გვაქვს საქმე. იმას, ვინც ზურაბიშვილს მაგიდაზე დაუდო ის სია, ამაში დიდი ფული აქვს გაკეთებული. ამას პატარა ბავშვიც ხვდება და საქმეში სრულიად ჩაუხედავი ადამიანიც, რომ ასეთი რაღაცები შემთხვევით არ ხდება, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ შეწყალების კომისია გააუქმა სალომე ზურაბიშვილმა 9 თვის წინ და 9 თვის განმავლობაში თითქოს ვერ მოძებნა 11 ადამიანი.

– რა პრინციპით მუშაობენ, როგორ ხდება შერჩევა იმ სიისა, ვინც პრეზიდენტმა უნდა შეიწყალოს?

– ძალიან უსინდისო რამ თქვა გუშინ სალომე ზურაბიშვილმა და ამის გამო ის უნდა გამოვიდეს და ბოდიში მოიხადოს. მან თქვა, კრიტერიუმები არის დასახვეწიო. მე პირადად და სხვებმაც, ვინც ვიყავით ამ ამბავში ჩართულები, სისხლი ჩავაქციეთ იმას, რომ ეს კრიტერიუმები ადამიანური გამხდარიყო. უზარმაზარი შრომა ჩავდეთ, იმიტომ, რომ შეწყალების კომისიის დებულება არის დოკუმენტი, რომელშიც თითო სიტყვა აწონილ-დაწონილი უნდა იყოს. შეწყალების კომისიას რომ ემუშავა და შეწყალების კომისიის კრიტერიუმები და დებულება ამოქმედებულიყო, ვერც იმ მკვლელობაში 3 მსჯავრდებულის და ვერც ძებნილის საქმე პრეზიდენტის მაგიდაზე ვერ აღმოჩნდებოდა.

– რატომ?

– შეწყალების კომისიის დებულებაში პირდაპირ წერია: შეწყალების კომისია მსჯელობს მხოლოდ საქართველოს საპატიმროებში მყოფ მსჯავრდებულებზე! შესაბამისად, ძებნილების საქმე გვერდზე გადაიდებოდა და პრეზიდენტის მაგიდაზე ვერ მოხვდებოდა.



ახლა მკვლელობაში სამი მსჯავრდებულის საქმე ვნახოთ – პოლიციელის მკვლელიც და დანარჩენი ორი ადამიანიც. შეწყალების კომისიის დებულებაშიც და იმ კრიტერიუმებშიც, რომლებიც ასევე ხარვეზიანი ჰგონია სალომე ზურაბიშვილს, პირდაპირ წერია, რომ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენ პირს, რომელსაც ხუთ წელიწადზე მეტი აქვს საპატიმრო სასჯელი მისჯილი, საპატიმრო ვადის ნახევარი უნდა ჰქონდეს მოხდილი და მხოლოდ ამის მერე აქვს განცხადების დაწერის უფლება პრეზიდენტის ადმინისტრაციაში.

ამ სამიდან კი არც ერთს არ ჰქონდა სასჯელის ნახევარი მოხდილი.

– ითქვა, რომ მესამედიც არ ჰქონდათ.

– დიახ, მესამედიც არ ჰქონდათ და, შესაბამისად, იმ კრიტერიუმების მიხედვით, შესაწყალებელთა სიაში ვერანაირად ვერ მოხვდებოდნენ ეს მკვლელობაში მსჯავრდებულები.

ამიტომ კრიტერიუმების ხარვეზი და პრობლემა კი არ არის, სალომე ზურაბიშვილია ხარვეზი და პრობლემა! ვიღაცამ შეგნებულად გააუქმებინა სალომე ზურაბიშვილს შეწყალების კომისია, გვერდზე გადაადებინა კრიტერიუმები და დადგა დაზგა და დახლი იქ!

და რაზეც პერფორმანსი გვქონდა, ზუსტად ის დაიწყეს იქ – ვაჭრობა ადამიანების ბედით. ძებნილზე ამდენი გადაიხადე, მკვლელზე ამდენი გადაიხადე და ასე შემდეგ. აი, ამის შედეგებს ვხედავთ ჩვენ.

– ვისი პასუხისმგებლობა უნდა დადგეს? ოპოზიციის ერთი ნაწილი პრეზიდენტის იმპიჩმენტს ითხოვს.

– სალომე ზურაბიშვილს ღირსების ნატამალი რომ ჰქონდეს, თანამდებობა დატოვებული ექნებოდა. რომ გვეუბნებოდა, მე ვიღებ პასუხისმგებლობასო, პასუხისმგებლობის აღება უპასუხისმგებლობა კი არ არის, პასუხისმგებლობის აღება ნიშნავს გადადგომას.

უნგრეთის პრეზიდენტი ამხილეს ჟურნალისტებმა პლაგიატში. მას სხვისი დისერტაცია ჰქონდა გადაწერილი. ეს კაცი გამოვიდა, ბოდიში მოიხადა, თქვა, ვიღებ პასუხისმგებლობასო და გადადგა თანამდებობიდან.

პასუხისმგებლობას ვიღებ და არხეინად ლოპოტაზე ვაგრძელებ ზაგარის მიღებას, ეგრე კი არ არის. პასუხისმგებლობის აღება კონკრეტულ ქმედებას ნიშნავს, თანაც აქ საქმე გვაქვს არა შემთხვევითობასთან, არამედ კორუფციასთან!

– ზურაბიშვილმა არ დაასახელა სხვა პირები. ცხადია, ეს საქმეები ვიღაცამ მიაწოდა. ხელს აფარებს ვინმეს?

– მეც ზუსტად მაგას ვამბობ, ძებნილის საქმე როგორ მოხვდა პრეზიდენტის მაგიდაზე?! მეც ვმუშაობდი იქ და ყველაფერი ძალიან კარგად ვიცი.

– რა იცით?

– რა და ეს საქმე კონკრეტულმა ადამიანმა შეუტანა. ადრე მე შემქონდა პრეზიდენტთან, როგორც შეწყალების კომისიის თავმჯდომარეს, დამუშავებული სია, შემდეგ შეჰქონდა ზვიად ქორიძეს, ახლა შეაქვს ვიღაცას. უნდა დადგინდეს, ეს ვიღაც ვინ არის და რატომ შეიტანა სამი მკვლელისა და ერთი ძებნილის საქმე!

– და ვინ არის ეს ვიღაც?

– არის ხმები და ჩემი წყاროებიც ზუსტად მეუბნებიან, რომ ის, ვინც მივიდა და მაგიდაზე დაუდო ეს საქმეები პრეზიდენტს, გახლავთ ადვოკატი დიმიტრი გაბუნია.

მე ჩემი წყაროები მყავს, შეწყალების კომისიაში ვმუშაობდი და ჩემი წყაროებით დასტურდება, რომ შეწყალების კომისიის გაუქმების შემდეგ მსჯავრდებულების საქმეები ებარა და შეწყალების ხაზი პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ხელში ჰქონდა აღებული დიმიტრი გაბუნიას, რომელსაც არც მანამდე ჰქონდა კეთილსინდისიერი ადვოკატის რეპუტაცია.

ეტყობა, როგორც მგელს ცხვრის ფარა არ უნდა ჩააბარო, ასე არ უნდა ჩააბარო ასეთ ადამიანს ასეთი საკითხები. ოღონდ ამაზე ჩვენ კი არ უნდა ვმარჩიელობდეთ, ნორმალურ ქვეყანაში რომ ვცხოვრობდეთ, პრეზიდენტი გადამდგარი უნდა იყოს და ანტიკორუფციულ სამსახურს გამოძიება უნდა ჰქონდეს დაწყებული.

– პრეზიდენტმა შეწყალებაზე მორატორიუმი გამოაცხადა. ამაზე რას იტყვით?

– ეს კიდევ უფრო დიდი უპასუხისმგებლობაა. რას ნიშნავს მორატორიუმი, საკუთარი უფლებამოსილება შეიჩერა იმიტომ, რომ კორუფციაშია გახვეული?! ეს აუხსნელია საერთოდ. რისთვისაც ხელფასს იღებს, იმ საქმის ნახევარი შეიჩერა?! ეგეთი რაღაცა გაგიგიათ?!

მაგის ფუნქცია ის არის, რომ უცხოეთში იაროს, შეწყალება განახორციელოს და თავისი უფლებამოსილების 50%-ს თვითონვე იჩერებს. რა მაგარიაა... საერთოდ წამოწვეს და გამოიცხადოს თავის თავზე მორატორიუმი, დავისვენებთ მაინც და სანერვიულო და საფიქრალი არ გვექნება, აზერბაიჯანთან ურთიერთობა არ დაგვეძაბება, ნატოზე სისულელეებს არ ილაპარაკებს და ასეთ დანაშაულებრივ გადაწყვეტილებებს არ მიიღებს.

– თავიდანვე იყო საუბარი, რომ სალომე ზურაბიშვილის პრეზიდენტობა ნაღმივით არის და რომ ის აუცილებლად აუფეთქდება „ოცნების“ ხელისუფლებას. ასეც მოხდა?

– თუ გინდათ, ამოიღეთ ჩემი ინტერვიუ სალომე ზურაბიშვილის არჩევის შემდეგ, სადაც ვამბობ, რომ ივანიშვილმა არ იცის, რა თავსატეხი გაიჩინა სალომე ზურაბიშვილის სახით. სიტყვასიტყვით მაქვს ნათქვამი, რომ დარწმუნებული ვარ, ეს ქალი თავისი ვადის ამოწურვამდე ვერ მიაღწევს.

აგერ მე და აგერ თქვენ. ჯერ ერთი წელი არ არის გასული და რა დაატრიალა.

– ფიქრობთ, რომ ვერ მიაღწევს ვადის ამოწურვამდე?

– ვერ მიაღწევს! ეს საქმე ხომ გაიქექა. ამ საქმეს პირადად მე არ მოვეშვები, გავხსნით ბოლომდე და გავარკვევთ, რეალურად რა მოხდა. რამდენ ხანს დაიმალება დიმიტრი გაბუნია. ამას აუცილებლად გავარკვევთ.

ყველაფერი უნდა გაირკვეს, რა მოტივით, როგორ, ვინ რამდენი გადაიხადა. სირაქლემის პოზაში ყოფნა დიდხანს არ გამოუვათ. რაც უფრო გაწელავენ, მით უფრო რთულად წავა ეს ქალი.

მოუწევს ვადაზე ადრე წასვლა. ის ახლა უკვე არის საიმპიჩმენტო საქმეში გახვეული. თუ დადასტურდა, რომ მან იცოდა, კორუფციას ჰქონდა ადგილი, საერთოდ დასაჭერია, თუ დადასტურდა, რომ არ იცოდა, ხელს რაზე აწერდა, ესეც იმპიჩმენტის საფუძველია.

ხელს რაზე აწერ, პრეზიდენტი რომ ხარ, ადამიანების ბედი რომ წყდება, ციხის კარი რომ უნდა გაიხსნას და მკვლელებს თავისუფლად სიარულის საშუალება მიეცეთ, ამას პრეზიდენტმა ცოტა ჭკუა ხომ უნდა დაატანო?! ბრმად აწერ ხელს, რა, ნინიას ბაღია? მეგობრობის დღიურში აწერდა ხელს?!

ეს საქმე წინ აუცილებლად წავა და ასე მარტივად არ შერჩებათ ეს ამბავი! ეს არის საიმპიჩმენტო, დღეს არ იქნება, ხვალ იქნება!

„პრეზიდენტის რეიტინგი კიდევ დაეცემა“

„საგანგაშოა, როცა ხალხის თითქმის ნახევარი 20 ივნისის მოვლენებში გახარიას როლს ხედავს“

იავო ნაცვლიშვილი

ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (ენდიაი) პოლიტიკური კვლევის შედეგები გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც „ქართული ოცნების“ რეიტინგი პრაქტიკულად ყველა მიმართულებით შემცირებულია. დაცემულია ლიდერების რეიტინგებიც, ხოლო მოსახლეობის თითქმის ნახევარი 20 ივნისის მოვლენებზე პასუხისმგებლობას პრემიერ გიორგი გახარიას აკისრებს. საპასუხოდ „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ ენდიაის არ ენდობიან.

ნიკა ჩიტაძე: „ამერიკული გემების არშემოშვება ეჭვებს აჩენს“

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით და იმაზე, რა კითხვები ჩნდება იმ ინფორმაციაზე, რომ ფოთის პორტში ამერიკული გემები არ შემოუშვეს, პოლიტოლოგი **ნიკა ჩიტაძე** საუბრობს.

– ენდიაის კვლევებთან დაკავშირებით როგორია თქვენი აზრი? კვლევაში მკვეთრად უარყოფითად არის შეფასებული ხელისუფლების საქმიანობა, როგორ ნელ-ნელა ეცემა „ოცნების“ რეიტინგი. დაცემულია ყველა ლიდერისა და ინსტიტუციის რეიტინგი. რატომ?

– მოსახლეობა უარყოფითად აფასებს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს, მათ შორის ხელისუფლების საქმიანობას და 49% თვლის, რომ საქართველო არასწორი მიმართულებით ვითარდება. რა თქმა უნდა, საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია მაღალი სამოქალაქო შეგნება, არ უნდა ახარებდეს აღნიშნული ფაქტი. ეს ნიშნავს იმას, რომ საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ვითარება ძალიან მძიმეა და ქვეყანა, ფაქტობრივად, ვერ ვითარდება სწორი მიმართულებით. აქედან გამომდინარე, შესაბამისად, ეცემა ხელისუფლების რეიტინგი. სამწუხაროა, რომ ქვეყანაში ასეთი პრობლემებია, წინააღმდეგ შემთხვევაშ, რა თქმა უნდა, ხელისუფლების რეიტინგი ამაღლდებოდა, რაც იმის ნიშანი იქნებოდა, რომ ხელისუფლება საშინაო თუ საგარეო მიმართულებით წარმატებით მუშაობს.

რეალობა ასეთია, მოსახლეობის უმრავლესობა ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი და, გარდა ამისა, ხელისუფლების წარმომადგენლებს იმაზე ლაპარაკი უხდებათ, რომ ენდიაის კვლევები სანდო არ არის.

– პარლამენტის მიმართ ნდობა კიდევ უფრო დაცემულია და ინსტიტუციებს შორის ყველაზე დაბალია. 20 ივნისის მოვლენები იმით ხომ არ შეიძლება აიხსნას?

– რა თქმა უნდა. 20 ივნისის მოვლენებითაც შეიძლება აიხსნას და, ამას გარდა, იმითაც, რომ ხელისუფლების რეიტინგი ეცემა და მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის ცნობილია, რომ ხელისუფლებას აქვს უმრავლესობა პარლამენტში და ის წარმართავს პოლიტიკას.

– თუმცა, ფაქტობრივად, ყველა სახელისუფლებო ინსტიტუციას ასევე „ოცნება“ წარმართავს და ის არის ამ პოლიტიკის გამტარებელი.

– დიახ, რა თქმა უნდა და ხელისუფლების რეიტინგის ვარდნა აისახება თითოეული სახელისუფლებო ინსტიტუციის ნდობის შემცირებით, იქნება ეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ხელისუფლების ნდობის ნაწილში. ეს პარალელური პროცესია.

თუ მოსახლეობა უკმაყოფილოა ხელისუფლების საქმიანობით, ბუნებრივია, ნდობა დაცემული იქნება პარლამენტის, მთავრობისა და სასამართლოს მიმართაც, პარლამენტის მიმართ იმიტომაც, რომ ხელისუფლების წარმომადგენლებმა არ აიღეს პასუხისმგებლობა 20 ივნისის მოვლენების პროცესებზე. იქ ნიკა მელიას წინააღმდეგ მიდიოდა პროცესი საკანონმდებლო ორგანოში, როდესაც მას შეუჩერეს იმუნიტეტი.

მეორე მხრივ, პარლამენტის მხრიდან არანაირი პასუხისმგებლობის აღება არ შეინიშნებოდა. კი, კობახიძე გადადგა პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობიდან, მაგრამ მან შეინარჩუნა პარლამენტის წევრის სტატუსი.

– პირდაპირ ვთქვათ ისიც, რომ გავრილოვის ჩამოყვანა პირდაპირ პარლამენტს უკავშირდებოდა. ასე არ არის?

– კი ბატონო. პირდაპირ პარლამენტს უკავშირდებოდა, რა თქმა უნდა, ვინაიდან სწორედ პარლამენტის გარშემო განვითარდა მოვლენები, მაგრამ არა მხოლოდ პარლამენტს უკავშირდებოდა, არამედ გახარიასაც. სწორედ მის გადაყენებას ითხოვდნენ. მას უნდა აეღო პასუხისმგებლობა ამ მოვლენებზე, მაგრამ გადაყენების ნაცვლად ის, პირიქით, დააწინაურეს და პრემიერ-მინისტრი გახდა. ამიტომაც, თუ აქამდე იყო მოთხოვნა, რომ გადამდგარიყო შს მინისტრი, დღეს უკვე მოთხოვნაა, რომ გადადგეს მთავრობა.

– როცა მოსახლეობის თითქმის ნახევარი ამბობს გახარიას შესახებ, რომ 20 ივნისის მოვლენებზე ის არის პასუხისმგებელი, არის თუ არა ეს განგაშის საფუძველი?

– რა თქმა უნდა, ეს განგაშის საფუძველია, იმიტომ, რომ ხელისუფლების წყარო ხალხია, კონკრეტულად კი საქართველოს კონსტიტუციის მეექვსე მუხლის თანახმად არის ასე. შესაბამისად, განგაშის საფუძველი არსებობს, მოსახლეობა უკმაყოფილოა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი თავს ვერ გრძნობს ბედნიერად, რადგანაც ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება. ამიტომ ეს არის განგაშისა და შეშფოთების საფუძველი.

– როდესაც ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება იკვეთება კვლევით და ამ დროს „ოცნების“ წარმომადგენლები ხელს იშვერენ კვლევაზე, რომ ენდობიან, ეს განცხადებები რას ნიშნავს?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

გედი ფოფხაძე: „ოცნებას“ ნაცმოძრაობაზე უპირატესობა ჯერ კიდევ აქვს“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის დამოუკიდებელი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ენდიაის სოციოლოგიურ კვლევებსა და ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო გედევან, თქვენთვის რა გამოკვეთა ენდიაის კვლევებმა? კახა კალაძე აცხადებს, რომ კვლევებს პოლიტიკურ ნაწილში არ ენდობა. თქვენ ენდობით?

– ასეთ ფორმულირებაზე პირდაპირ ვერ გიპასუხებთ. რაღაც მონაცემებს ვიღებ და შემდეგ პირად შთაბეჭდილებას ვადარებ. რაც შეეხება პოლიტიკურ ნაწილს, საზოგადოებაში განწყობები ძალიან მკვეთრია. რაც უფრო მოგვიახლოვდება არჩევნები, ეს განწყობები კიდევ უფრო რადიკალური გახდება.

ამ კვლევებში ყველაზე მნიშვნელოვანი ჩემთვის ის პესიმისტური განწყობა იყო, რომელიც ქვეყნის განვითარებას ეხებოდა. ადამიანების უმრავლესობა ფიქრობს, რომ ქვეყანა არასწორი გზით ვითარდება. საზოგადოების საერთო განწყობა მკვეთრად ნეგატიურია.

– თქვენ ნეგატივზე საუბრობთ, რაც კვლევებში იგრძნობა, თუმცა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მაინც მმართველ პარტიას აქვს. ხვალ რომ არჩევნები იყოს, გამოკითხულთა 20% ხმას „ქართულ ოცნებას“ აძლევს. ამას რით ხსნით?

– ამას ვხსნი იმით, რომ ამომრჩეველი გამორიცხვის პრინციპით მოქმედებს. ქვეყანაში არ არის პოლიტიკური ალტერნატივა, რომელიც ღირებულებით დონეზე იქნება „ქართული ოცნებისგან“ განსხვავებული.

ახალ პოლიტიკურ ძალას უნდა ჰქონდეს ქვეყნის მართვის გადაბარების, ვალდებულებებისა და პასუხისმგებლობის აღებისა და უკეთესი მომავლის შექმნის რეალური ძალა და შესაძლებლობა. სადღაც „კაი ტიპები“ რომ არიან, ეს არ არის საკმარისი. უნდა გამოიკვეთოს პოლიტიკური ძალა, რომელიც პოზიტიურ განწყობას შეუქმნის ამომრჩეველს.

იმედი მაქვს, ასეთი პოზიტიური ძალები გამოჩნდებიან. ქვეყანას ნაციონალური მოძრაობა სწორი მიმართულებით ვერ განავითარებს. დღევანდელი პოლიტიკური სპექტრი ადამიანებს ვერ სთავაზობს იმას, რაც მათ უნდათ. შემოვლენ თუ არა პოლიტიკურ სივრცეში ძალა, პოლიტიკური სუბიექტები, რომლებიც პოლიტიკური ცოდვებით არ არიან დამძიმებული და რომლებსაც აქვთ მორალური უპირატესობა, მაშინ ამომრჩევლის განწყობებიც შეიცვლება.

– არის ასეთი ხაზარაძე?

– არა, არა. არის „ქართული ოცნება“, რომელიც თავისი სტანდარტით ნაციონალურ მოძრაობას უახლოვდება. ობიექტურად თუ შევაფასებთ, „ოცნება“ ცუდი ხელისუფლებაა, მაგრამ, თუ ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებასთან შევადარებთ ღირებულებითი თვალსაზრისით, მორალური უპირატესობა ჯერ მაინც „ოცნებას“ აქვს.

– მიუხედავად 20 ივნისის მოვლენებისა?

– დიახ. ნაციონალური მოძრობა 20 ივნისის მოვლენებს როდესაც აფასებს, 7 ნოემბერი და 26 მაისი ავიწყდება. 20 ივნისს გამოჩნდა, რომ ქვეყანაში არის ავტორიტარიზმის ნიშნები, არის ადამიანის უფლებების სისტემური დარღვევა, არის კორუფცია, თვითონ „ოცნება“ არის იმის ნიშანი, რომ ხელისუფლება და ხალხი ერთმანეთს უკვე ძალიან დაშორდნენ, მაგრამ რიგითი ამომრჩეველი ფიქრობს, ეს რომ არ მინდა, უნდა მქონდეს უკეთესი არჩევანი. ნაციონალური მოძრაობა არ არის უკეთესი არჩევანი. ის „ოცნების“ ალტერნატივად ვერ გამოდგება.

– გამოკითხულთა უმრავლესობა 20 ივნისის მოვლენებზე პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებს, თუმცა ხელისუფლებამ ისრები სულ სხვაგან გადაიტანა.

– რა თქმა უნდა, ხელისუფლებამ ცადა, რომ პროპაგანდისტული მანქანა აემუშავებინა. აქციის გარკვეული ჯგუფის ნაწილის ქცევაში იყო კრიმინალური, მაგრამ, ასე რომ მივყვეთ, 7 ნოემბრის, 26 მაისის მოვლენებში, 9 აპრილშიც შეიძლება რაღაც კრიმინალური დავინახოთ.

თუ ფორმალურად მიჰყვება ვიღაცა ამ ხაზს და პროპაგანდას ამაზე ააწყობს, შეიძლება, ლოგიკა აღმოაჩინო, მაგრამ მშვიდობიანი ადამიანები რომ დაარბიეს, ამას ვერაფერი გადაფარავს. ეს პროპაგანდა ძალიან დროებითი ეფექტი იყო. პროპაგანდისტულმა მანქანამ როგორც არ უნდა იმუშაოს, ადამიანები მაინც გრძნობენ, ხვდებიან, სად არის სიმართლე.

– ეთანხმებით პოზიციას ყველა ერთის წინააღმდეგ?

– არა. ეს სისულელეა. მე ვეთანხმები პოზიციას ყველა ერთისთვის და ეს ერთი საქართველო უნდა იყოს! ვიღაცის ჯინაზე უნდა გავიდეთ არჩევნებზე?! საქართველოსთვის უნდა გავიდეთ! მოდი, ახლა ყველა გავერთიანდეთ და მერე რა?! მერე რა იქნება, უკეთესი იქნება საქართველოს ხვალინდელი დღე?!

ეს უნდა იყოს მთავარი ამოცანა – ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავალი. თუ საქართველოსთვის გავერთიანდებით, მაშინ ავტომატურად მივიღებთ იმ აქტივებს, რომლებიც გამარჯვებისთვის არის საჭირო. საზოგადოება ბრმა არ არის და ამას ყველაფერს დაინახავს. ასეთ გაერთიანებას მორალური ბერკეტიც უნდა ჰქონდეს.

– გამოკითხულთა 32% პარლამენტის საქმიანობას ცუდად აფასებს. როგორ ფიქრობთ, რატომ?

– ქვეყანაში რეალურად პარლამენტი რომ არ გვაქვს და ინსტიტუციურად ნებისმიერ სამინისტროს უფრო მეტი ძალაუფლება რომ აქვს, ეს ცხადია. პარლამენტმა თავის ფუნქციაზე უარი თქვა. პარლამენტმა თავისი ერთ-ერთი მთავარი – კონტროლის ფუნქცია დაივიწყა.

თუ მე, როგორც უმრავლესობის წევრი, ჩემ მიერ დანიშნულ მინისტრს კრიტიკულ კითხვას ვერ დავუსვამ, ეს ხომ ნიშნავს, რომ ჩემს ფუნქციას ვერ ვასრულებ! თუ ეს ფუნქცია წამართვეს, როგორ შევუნარჩუნო პარლამენტს ავტორიტეტი?!

– უმრავლესობა სწორედ საპარლამენტო მოწყობაზე აპელირებს.

– დიახ, რა თქმა უნდა! მით უფრო ამ კონსტიტუციური მოწყობის პირობებში ქვეყანა სწორედ პარლამენტისგან ელოდება ყველაზე მნიშვნელოვან ნაბიჯებს, ქვეყნის განვითარების ორიენტირებს. ასეთ ინსტიტუტს შენ ართმევ უფლებას, რომ იყოს კრიტიკული, მომთხოვნი. ამიტომ გამორიცხულია, ასეთ პირობებში მას მაღალი მაჩვენებლები ჰქონდეს.

„პრეზიდენტის რეიტინგი კიდევ დაეცემა“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– ეს, რა თქმა უნდა, ნიშნავს იმას, რომ რეალური პასუხი არ აქვთ კვლევის შედეგებზე. მაშინ ალტერნატიული კვლევა უნდა წარმოადგინონ, რომლითაც სხვა აზრი დაფიქსირდება, მაგალითად, სხვა ავტორიტეტული საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვა. მაშინ წარმოადგინონ ასეთი კვლევა, სადაც საუბარი იქნება იმაზე, რომ მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ენდობა „ქართულ ოცნებას“. არანაირი ალტერნატივა არ არსებობს აღნიშნულთან დაკავშირებით.

მეორეა ის, რაც ეხება ენდიაისა და აირაის. ბუნებრივია, ისინი არიან სანდო ორგანიზაციები. თავის დროზე, როდესაც 2013 წელს ჩატარდა კვლევა, რომლის მიხედვითაც „ქართული ოცნების“ რეიტინგი 62% იყო და ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი კი 13-14%-მდე დაეცა, მაშინ „ქართულმა ოცნებამ“ ნდობა გამოუცხადა კვლევას და განაცხადა, რომ კოსმოსური სიჩქარით წინ მიიწევს „ქართული ოცნების“ რეიტინგი. თუ მაშინ ნდობას უცხადებდი ორგანიზაციის კვლევას, ახლა რატომ აღარ ენდობი მას?

– პრეზიდენტის რეიტინგიც დაცემულია, თანაც ეს კვლევა ჩატარებულია მაშინ, როდესაც სკანდალური შეწყალებები არ იყო. ეს ხომ არ იძლევა საფუძველს, რომ მომავალში სალომე ზურაბიშვილის რეიტინგი კიდევ უფრო მკვეთრად შემცირდება?

– რა თქმა უნდა, მის მიმართ გაიზრდება უარყოფითი დამოკიდებულება მის მიერ გაკეთებული განცხადებებისა და ქმედებების გამო. ბუნებრივია, როდესაც საუბარია 2 ადამიანის შეწყალებაზე, რომლებმაც მკვლელობა ჩაიდინეს, ეს იწვევს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის უარყოფით შეფასებას პრეზიდენტის მიმართ. სხვათა შორის, არა მხოლოდ მოსახლეობის მხრიდან კეთდება ასეთი შეფასებები, არამედ „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებიც ვერ მალავენ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას აღნიშნული პროცესის მიმართ და აცხადებენ, რომ პრეზიდენტს მკვლელი არ უნდა შეეწყალებინა.

– კვლევას გავცდეთ და შეაფასეთ ინფორმაცია, რომ ღარიბაშვილმა, რომელიც სულ ახლახან დაინიშნა თავდაცვის მინისტრად, უკვე ცნობილი გახდა, რომ ამერიკული გემები არ შემოუშვა ფოთის პორტში. ეს როგორ უნდა გავიგოთ?

– ღარიბაშვილის თავდაცვის მინისტრობა ძალიან არარეალისტურად ჟღერს მისი განცხადებებიდან გამომდინარე, საქართველო ყველა იარაღს აწარმოებს ბირთვული იარაღის გარდაო. რამდენად აქვს რესურსი, აწარმოოს ტანკები, საბრძოლო თვითმფრინავები და ა.შ.?

გემებთან დაკავშირებით რაც იყო, ეს კითხვებს აჩენს. რატომ არ უნდა შემოსულიყ ამერიკული გემები?! რა პროცედურა ირღვეოდა?! თავის დროზე, ხომ ვიცით, რომ ღარიბაშვილის ინიციატივა იყო, პროდასავლურად განწყობილი ირაკლი ალასანია გათავისუფლებულიყო თავდაცვის მინისტრის პოსტიდან და შემდეგში ამ პოსტზე დაენიშნათ რუსეთის მიმართ ლოიალურად განწყობილი ფიგურა.

– უხეშად რომ ვთქვათ, ესეც რუსეთისთვის კოჭის გაგორებას ხომ არ ჰგავს?

– ღმერთმა დაიფაროს ქვეყანა, რომ ასე იყოს, მაგრამ ეს გადაწყვეტილება კითხვებს ბადებს. ახლა ამ კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს შევიკავებ, რადგან ჯერ დავაკვირდები პროცესს. ღმერთმა დაიფაროს ქვეყანა ამისგან, მაგრამ გამორიცხული არ არის.

– ანუ თქვენც გაქვთ რაღაც ეჭვები და კითხვები ამ მიმართულებით?

– დიახ.

„სალომე ზურაბიშვილს მაისში შევუთვალე, რომ შეწყალების პროცესში პროვოკაციას მოუწყობდნენ“

მირიან მირიანაშვილი: „რუსეთი ცდილობს, თავისი აგენტი ბოკერია ამერიკის პოლიტიკურ სივრცეში შეაცუროს“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დეპუტატს, „საქართველოს გადარჩენის მოძრაობის“ ლიდერ მირიან მირიანაშვილს.

– პრეზიდენტმა ზურაბიშვილმა შეწყალებაზე მორატორიუმი გამოაცხადა, თუმცა გამოსაძიებელია უკვე მომხდარი. შეწყალების პროცესში გამოკვეთილი გადაცდომების გამო გამოითქვა აზრი, რომ სალომე ზურაბიშვილს ეს გაუჩალიჩეს.

– სალომე ზურაბიშვილი უნაკლო არ არის. ამასთან, მას უამრავი არაკეთილმოსურნე და მტერი ჰყავს, მათ შორის, ახლო გარემოცვაში. ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდნენ მის გაპრეზიდენტებას. ამ პოლიტიკურ ჯგუფებში, ნაციონალების გარდა, არიან ხელისუფლებაში მყოფი რუსეთიდან მართული პირები. თავიდანვე ცხადი გახდა, რომ პრეზიდენტი იქნებოდა პროვოკაციების სამიზნე. 9 აპრილს ამის მოწმენი გავხდით.

– გულისხმობთ იმას, რომ პრეზიდენტმა გამოსვლისას 1989 წლის 9 აპრილის გმირებში არ დაასახელა თამუნა ჭოველიძე?

– რასაკვირველია. მაშინდელ სიტყვაში პრეზიდენტმა გამოიყენა დაწერილი სია. პოლიტიკაში ოდნავ ჩახედულებმაც იციან, რომ ჭოველიძის გვარის გამორჩენა პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაშინდელი ხელმძღვანელის ლაშა ჟვანიას დამსახურებაა. იქ აღარ არის ჟვანია, მაგრამ არიან სხვები.

სალომე ზურაბიშვილი თვითონაც უნდა მიმხვდარიყო, რომ სხვა შარშიც აუცილებლად გახვევდნენ. მაისის შუა რიცხვებში პრეზიდენტი კულუარულად გავაფრთხილე, რომ შეწყალების პროცესში მას დიდ პროვოკაციას მოუწყობდნენ. იმ დროს, როცა არასანდო გარემოა და შეწყალების კომისიის ახალი შემადგენლობა არ არის დაკომპლექტებული, ჯობია, დროებით გამოცხადდეს მორატორიუმი შეწყალებაზე. ეს იყო რჩევა.

– როგორც ჩანს, იმ დროს პრეზიდენტმა ეს რჩევა ყურად არ იყო. მორატორიუმის გამოცხადება მას ახლა მოუწია. პროვოკაციები კიდევ მოსალოდნელია?

– ასეთი გეგმები შემუშავებულია. ჩაფიქრებულია ტოტალური შეტევა პრეზიდენტზე. ამის პრევენციისთვის, ალბათ, საჯაროდ მომიხდება განცხადების გაკეთება.

– გაზეთის მეშვეობით?

– რატომაც არა. პოპულარული გაზეთით გავრცელებული გაფრთხილება ინსპირატორებს კონკრეტულ გეგმებს ჩაუშლის. რუსეთი სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ მოქმედებებს გააგრძელებს. ვისაც ჰგონია, რომ ზურაბიშვილი მოსკოვის მიერ შემოგზავნილი კანდიდატურაა, იმასთან კამათს აზრი არა აქვს.

– რუსეთი საქართველოში გააქტიურდა?

– ეს თვალშისაცემია. კვირას აშშ-ის საელჩოსთან გაიმართა უპრეცედენტო მიტინგი. ეს ინიციატივა ეკუთვნის რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველ მოადგილე სერგეი კირიენკოს, რომელიც თავის დროზე რუსეთის მთავრობის თავმჯდომარე იყო. კირიენკოს გეგმის შესრულებაში მონაწილეობდა საქართველოს ხელისუფლება.

– პატრიოტთა ალიანსის ლიდერები უარყოფენ ინფორმაციას, რომ მიტინგებზე მათ ხალხს „ოცნება“ უკრებს. მათი მტკიცებით, ნაცმოძრაობა იგონებს ჭორებს „პატრიოტების“ ანტიდასავლურობასა და „ოცნების“ ჩართულობაზე მათ მიერ ორგანიზებულ მიტინგებში.

– ნაცმოძრაობის წევრი არა ვარ, მაგრამ მეც ვადასტურებ, რომ მიტინგებზე, სადაც პატრიოტთა ალიანსი ჩნდება, ხალხის მობილიზებას ახდენს ხელისუფლება. მაღალი ეშელონები იღებენ დავალებებს მოსკოვიდან. პროცესში მონაწილეობენ ძალოვნების მაღალჩინოსნები.

15 სექტემბერს აშშ-ის საელჩოსთან მისასვლელად დარაზმულ მასას პატრიოტთა ალიანსი ისე შეუერთდა, როგორც ყვარყვარე თუთაბერი – ჯარს. ეგ პარტია ხალხის შემკრები არ არის.



ნაცმოძრაობა არა ვარ, მაგრამ ამას ვამბობ. ეს ნაცმოძრაობის ჭორი არ არის. ნაცმოძრაობასთან ერთადერთი ის შეხება მაქვს, რომ ეს პარტია ჩემი დაფუძნებულია. სააკაშვილმა ვარდების რევოლუციამდე პარტიული გადატრიალება მომიწყო და პარტია მიითვისა. ერთადერთი ადამიანი ვიყავი საქართველოში, რომელიც სააკაშვილს რეალურად ვუპირისპირდებოდი და 2003 წლიდან სასამართლოში ვებრძოდი. შემდეგ პოლიტიკურად დევნილიც ვიყავი.

– თქვენი ნათქვამიდან გამომდინარე, საქართველოს ხელისუფლება ასრულებს ისეთ დავალებებს, რომლებიც მისთვისაც ძირგამომთხრელია?

– მართლაც, აშშ-ის საელჩოსთან ხალხმრავალი მიტინგების მოწყობა, სხვა ანტიდასავლური მოქმედებები აზიანებს ივანიშვილსა და „ქართულ ოცნებას“. რუსეთმა ეს ამ მიზნით ჩაიფიქრა. მოსკოვში უკმაყოფილონი არიან ბიძინა ივანიშვილით. იქ ფიქრობენ, რომ ივანიშვილი ორმაგ თამაშს ეწევა. ასეთი აქციებით უნდათ, ივანიშვილს მთლიანად მოუსპონ დასავლეთთან მისასვლელი გზა.

– პატრიოტთა ალიანსის ინფორმაციით, მიტინგები აშშ-ის საელჩოსთან კიდევ გაიმართება, ვინაიდან ამერიკა მფარველობს „სააკაშვილებსა და ბოკერიებს“.

– ამ მიტინგების ინიციატორი და ორგანიზატორი არ არის პატრიოტთა ალიანსი. აშშ არ მფარველობს არც სააკაშვილსა და არც ბოკერიას, რომლებსაც ამერიკის გავლენიან წრეებთან შეხება არა აქვთ.

– საქართველოში მათ სხვანაირად ახასიათებენ.

– რუსეთი ყველა გზით ცდილობს, შეაცუროს თავისი აგენტურა ბოკერიას სახით ამერიკის პოლიტიკურ სივრცეში. ეს უკვე სამი წელიწადია, გრძელდება. ხან რა მოიგონა რუსეთმა ბოკერიასა და მისი ჯგუფის რეკლამირებისთვის და ხან რა. ბოლო სერიალის დასაწყისი მაკეინის ინსტიტუტის მონაწილეობით გამართულ კონფერენციაზე ვიხილეთ.

– სადაც მივიდა პატრიოტთა ალიანსის ლიდერი ირმა ინაშვილი?

– დიახ. ეს დრამატურგია აუცილებელი იყო შემდგომი მოვლენების დასაქოქად. სხვა ამოცანებთან ერთად, გაძლიერდა ბოკერიას გაპიარება. ჩვენდა სასიხარულოდ და რუსეთისთვის სავალალოდ, ამ პროცესებში კიდევ ერთხელ გამოჩნდა რუსეთის პოლიტტექნოლოგიების დეგრადაცია. საზოგადოება ინფორმირებულია და ანკესზე არ ეგება. დასავლეთს, მით უმეტეს, ვერ აყრიან თვალში ნაცარს.

საქართველოს მიმართ რუსეთში მრავალგვარი პოზიცია იკვეთება. პუტინის ადმინისტრაციაშიც არ არის ერთიანობა. ბოლო ხანს საქართველოთი დაკავდა კირიენკო, საქართველო არც პუტინის თანაშემწე სურკოვს ეთმობა. სურკოვის ფავორიტებზე – სააკაშვილსა და რულოვსზე ადრე მისაუბრია.

რუსეთში ასევე ქიშპია პატრიოტთა ალიანსის გამო. ეს პარტია სახელმწიფო დუმის დსთ-ის საკითხთა კომიტეტში კალაშნიკოვთან თანამშრომლობს, მისი დაქვემდებარება კი რუსეთის კომუნისტურ პარტიას უნდა.

– კალაშნიკოვი თვითონ კომპარტიიდან არის და რას ვერ იყოფენ?

– ინაშვილის პარტია დუმის კომიტეტთან ურთიერთობს. ზიუგანოვს ურჩევნია, რომ ის რუსეთის კომუნისტური პარტიის დანამატი იყოს.

ბავშვთა პორნოგრაფიის გამო საქართველოში 11 პირი დააკავეს

მათ შორის 3 ადამიანი 1 ოჯახის წევრია

საქართველოს პოლიციამ არასრულწლოვნის ვაჭრობისა და არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადება-გასაღების ქსელი გამოავლინა და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 11 წევრი დააკავა.

დაკავებულები საქართველოს, აშშ-ისა და ავსტრალიის მოქალაქეები არიან.

გუშინ, 19 სექტემბერს, შს სამინისტროში, სპეციალურ ბრიფინგზე ითქვა, რომ დაკავებულთა შორის არიან პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადებაში ჩაბმული არასრულწლოვანი ბავშვების მშობლები, მათი ნათესავები და ახლობლები, ასევე, უკანონო ფოტოსალონის მფლობელები და თანამშრომლები.

– საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის, გენერალური პროკურატურის, ევროპოლის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ავსტრალიის სამართალდამცავი უწყებების თანამშრომლებმა, ერთობლივად გატარებული ინტენსიური ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, არასრულწლოვნის ვაჭრობისა და არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადება-გასაღების ქსელი გამოავლინეს და ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის 11 წევრი დააკავეს, – განაცხადეს ბრიფინგზე.

აღნიშნული პირების მიერ ჩადენილი დანაშაული 17-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ქართველი და უცხოელი სამართალდამცველები რამდენიმე თვის განმავლობაში ატარებდნენ ინტენსიურ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებებს.

შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, დაკავებული არიან: აშშ-ის მოქალაქე, 1961 წელს დაბადებული კ.უ., ავსტრალიის მოქალაქე, 1959 წლის დაბადებული პ.ლ. და საქართველოს მოქალაქეები: 1985 წელს დაბადებული მ.ც., 1984 წელს დაბადებული ს.კ., 1981 წელს დაბადებული გ.ბ., 1978 წელს დაბადებული ბ. ც., 1982 წელს დაბადებული ი.ა., 1981 წელს დაბადებული ქ.ო., , 1989 წელს დაბადებული ს.კ., 1981 წელს დაბადებული დ.ბ. და 1984 წელს დაბადებული გ.ბ.

დაკავებულთა შორის არიან პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადებაში ჩაბმული არასრულწლოვანი ბავშვების მშობლები, მათი ნათესავები და ახლობლები, ასევე, უკანონო ფოტოსალონის მფლობელები და თანამშრომლები.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულ აშშ-ის და ავსტრალიის მოქალაქეებს თბილისში ნაქირავებ ბინებში კონსპირაციულად მოწყობილი ჰქონდათ ფოტოსალონები და უცხოეთში რეალიზაციის მიზნით არასრულწლოვნების გამოსახულების შემცველ პორნოგრაფიულ ნაწარმოებს ამზადებდნენ, რაშიც მათ ქართველი თანამზრახველები ეხმარებოდნენ.

ბრალდებულებს დანაშაულებრივ საქმიანობაში, მშობლების თანხმობით, ჩაბმული ჰყავდათ 8-დან 14 წლამდე ასაკის 10-მდე არასრულწლოვანი გოგონა.

დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზატორები მოზარდების მშობლებს ფოტოების გადაღების სანაცვლოდ 500-დან 3.000 ლარამდე თანხას უხდიდნენ. ანგარიშსწორება ხორციელდებოდა ხელზე ან საბანკო ტრანზაქციის გზით.

გამოძიებით, ასევე, დადგინდა, რომ აშშ-ს მოქალაქე კ.უ. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული თანხის განაღდებას თბილისში არსებულ სხვადასხვა სავაჭრო ცენტრში განთავსებული კრიპტომატებიდან ახდენდა.

პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე უკანონო ფოტოსალონებში ჩატარებული ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცებად ამოიღო: ძვირადღირებული ფოტოაპარატები, განათების საშუალებები, რეკვიზიტები და კომპიუტერული ტექნიკა. ამოღებულია კომპიუტერულ ტექნიკაში, დისკებსა და ფოტოაპარატებში მოთავსებულ მეხსიერების ბარათებზე არსებული არასრულწლოვანთა პორნოგრაფიული ფოტო და ვიდეომასალები.

დაზარალებული არასრულწლოვნების უფლებების დაცვის მიზნით ტარდება შესაბამისი ფსიქოსოციალური ღონისძიებები.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სსკ-ის 255-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 143 პრიმა-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაც წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადება-გასაღებას, ასევე, ორგანიზებული ჯგუფის მიერ ორი ან მეტი არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებულ ტრეფიკინგს გულისხმობს.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დააფიქსირა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

კერძოდ, საქართველოში აშშ-ის საელჩოს ინფორმაციით, საერთაშორისო დონეზე კოორდინირებული, რამდენიმე ქვეყნის ჩართულობით განხორციელებული ეს სამართალდაცვითი ღონისძიება, უნდა იყოს გაფრთხილება ყველასთვის, ვინც ბავშვებს ზიანს აყენებს, რომ სამართალდამცავი ორგანოები, საერთაშორისო დონეზე, ერთობლივი ძალისხმევით, ყოველთვის შეძლებენ მათ იდენტიფიცირებას, დაკავებასა და პასუხისგებაში მიცემას.

ამასთან, ამერიკის საემიგრაციო და საბაჟო უწყების შიდა უსაფრთხოების საგამოძიებო სამსახური ყოველთვის და ყველგან აღასრულებს თავის ვალდებულებას, რომ დაიცვას ბავშვები მსოფლიოს ნებისმიერ ადგილას იმ ადამიანებისგან, რომლებიც ბოროტად სარგებლობენ ბავშვთა უმწეობით.

დაკავებული 11 პირიდან 3 ერთი ოჯახის წევრია.

როგორც „ნიუპოსტმა“ გაარკვია, ისინი გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ზეღდულეთში ცხოვრობენ, ისევე, როგორც ამავე სოფლის სკოლის მასწავლებელი, რომელიც უკვე დაკავებულია.

სოფელ ზეღდულეთში ამბობენ, რომ სპეცოპერაცია, გორის პარალელურად, ლანჩხუთშიც ჩატარდა. რაც შეეხება ინგლისურის ყოფილ მასწავლებელს, არსებული ინფორმაციით, ამერიკის მოქალაქე პირადად უღებდა არასრულწლოვან გოგონებს ინტიმური ხასიათის ფოტოებს.

გორში აცხადებენ, რომ სპეცოპერაციის შედეგად დააკავეს დები ქუთარიშვილები და მათი სიძე, რომელიც ლანჩხუთში აიყვანეს. ამავე საქმეზე დაკავებულია ზეღდულეთის კიდევ ერთი მკვიდრი – ქეთევან ოქროპირიძე.

დაკავებული დების მამა, გია ქუთარიშვილი, საგანგაშოს ვერაფერს ხედავს იმაში, რომ მის შვილიშვილს საცურაო კოსტიუმში გადაუღეს ფოტოები.

– არანაირი პორნოგრაფია... ჩვეულებრივი სურათებია. ბავშვს რომ ბიკინებით გადაუღონ, რა მოხდა, რა არის?! შიშველ ფოტოებს ჩემი შვილი არ დაუშვებდა, – განუცხადა „მთავარს“ გია ქუთარიშვილმა, რომელმაც დაადასტურა, რომ მის 8 და 11 წლის შვილიშვილებს ფოტოებს უღებდნენ.

– იქ არანაირი პორნოგრაფია არ იყო, ვის რაში აწყობს ჩემი შვილების გაუბედურება, არ ვიცი, – ამბობს დაზარალებული ბავშვების ბაბუა.

„გაიხუმრა კიდეც ჩემმა საცოლემ, გადავრჩებიო?“

რუსთავში გარდაცვლილი მარიამ სალაყაიას საქმრომ თვითდაზიანებები მიიყენა

– სანამ პალატაში შევიყვანდით, გაიხუმრა კიდეც ჩემმა საცოლემ, გადავრჩებიო? გადასარჩენი რა გჭირს, შვილოო უთხრეს და ჩვეულებრივად შევიდა.

ამის შესახებ „ინფო რუსთავს“ რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში გარდაცვლილი გოგონას შეყვარებულმა განუცხადა.

როგორც მამაკაცმა საინფორმაციო სააგენტოს უამბო, გოგონა ნარკოზის გაკეთებამდე თავს კარგად გრძნობდა და ჯანმრთელობისთან დაკავშირებითაც არანაირი პრობლემა არ ჰქონია.

გარდაცვლილი 19 წლის მარიამ სალაყაია წარმოშობით სენაკის რაიონის სოფელ მენჯიდანაა, თუმცა იგი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი იყო და დროებით თბილისში, ბებიასთან ცხოვრობდა. „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, გოგონამ ცხვირის ოპერაციის რუსთავში გაკეთება მეგობრის რჩევის საფუძველზე გადაწყვიტა.

როგორც გარდაცვლილის ბებია, ფლორა შენგელია „ინფო რუსთავს“ უყვება, მარიამს ცხვირის ძგიდეზე ჰქონდა პრობლემები, სუნთქვა უჭირდა და ოპერაციის გაკეთებას სწორედ ამ მიზეზით აპირებდა.

– ბავშვი მოგვიკლეს, 19 წლის უმწიკლო ბავშვი. დაჩეხეს ბავშვი და მოკლეს. ცხვირის ძგიდის გამო ვერ სუნთქავდა და ამიტომ მოვიდა აქ, – აცხადებს ფლორა შენგელია.

მას შემდეგ, რაც გოგონას გარდაცვალების შესახებ მისმა შეყვარებულმა შეიტყო, მამაკაცმა თვითდაზიანებები მიიყენა და სამედიცინო დახმარების გაწევა დასჭირდა.

შეგახსენებთ, რომ რუსთავში 19 წლის მარიამ სალაყაია ცხვირის ოპერაციამდე, ნარკოზის გაკეთების შემდეგ გარდაიცვალა.

ოჯახის წევრები მომხდარში ექიმებს ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ გულის გაჩერება ნარკოზის გადაჭარბებულმა დოზამ გამოიწვია. ექიმები კი ამბობენ, რომ გოგონას გარდაცვალების მიზეზი მძიმე ალერგიული ფონი გახდა.

საავადმყოფოს დირექტორის მოადგილე დავით გოგოძის თქმით, ნარკოზის შეყვანის დროს პაციენტს ანფილექსიური შოკი განუვითარდა, რის შედეგადაც გული გაუჩერდა და გარდაიცვალა.

მარიამ სალაყაიას გადარჩენას ექიმები 10 საათის განმავლობაში ცდილობდნენ.

საქმეზე უკვე დაწყებულია გამოძიება.

ხანგოშვილის მკვლელობამდე „შპიგელმა“ სუსის ყოფილი მაღალჩინოსნისგან გაფრთხილების წერილი მიიღო

ზელიმხან ხანგოშვილის მკვლელობამდე საქართველოს უსაფრთხოების სამსახურის ყოფილი მაღალჩინოსნისგან გაფრთხილების წერილი მივიღეთ.

ამის შესახებ გავლენიანი გერმანული გამოცემა „შპიგელი“ წერს.

„წერილში მამაკაცი აცხადებს, რომ ადამიანებს, ვინც საქართველოს მთავრობას ტერორიზმთან ბრძოლაში ეხმარებოდნენ, ახლა რუსეთის სპეცსამსახურები ემუქრებიან, მათ შორის დაემუქრნენ ზელიმხან ხანგოშვილის ოჯახს და მის ძმა ზურაბ ხანგოშვილს. წერილი რედაქციამ 20 აგვისტოს მიიღო. ზელიმხან ხანგოშვილი 23 აგვისტოს ბერლინში მოკლეს“, – აღნიშნულია სტატიაში.

როგორც „შპიგელი“ ამტკიცებს, წერილში ასევე საუბარია, რომ ხანგოშვილის ოჯახს საქართველოში დღესაც დიდი საფრთხე ემუქრება.

სტატიაში აღნიშნულია, რომ ბერლინში მოკლული საქართველოს მოქალაქის მეუღლეს და ბავშვებს გერმანიაში დარჩენის უფლება 30 ნოემბრამდე აქვთ. გამოცემის ცნობითვე, თუ ისინი თავშესაფარს არ მიიღებენ, მათ საქართველოში დეპორტაცია ელით.

„შპიგელი“ რამდენიმე გერმანელ დეპუტატს ესაუბრა, რომლებიც აცხადებენ, რომ ხანგოშვილის ოჯახს გერმანიაში დარჩენის საშუალება უნდა მისცენ. გამოცემის ინფორმაციით, ასეთი მოწოდებით გამოდიან სოციალ-დემოკრატიული პარტიის, თავისუფალი დემოკრატებისა და მწვანეების წევრებიც.

ზელიმხან ხანგოშვილი 23 აგვისტოს ბერლინის ცენტრში მოკლეს. მას ორჯერ ესროლეს. პოლიციამ დამნაშავის დაკავება მალევე შეძლო. ის 49 წლის რუსეთის მოქალაქეა, რომლის იდენტიფიცირება ჯერ ოფიციალურად არ მომხდარა.

საქართველომ რუსეთს ჩეჩენი რამზან ახიადოვი გადასცა

საქართველომ რუსეთის ფედერაციას ეროვნებით ჩეჩენი, რუსეთის ფედერაციის მოქალაქე რამზან ახიადოვი გადასცა.

ამის შესახებ ინფორმაციას „რადიო თავისუფლება“ ავრცელებს.

ახიადოვს რუსეთი ტერორისტულ დანაშაულს (ისლამური სახელმწიფოსთვის ხალხის მობილიზება, ბრძოლის ეპიზოდები 2013-2015 წლებში) სდებდა ბრალად და ინტერპოლით ეძებდა.

ახიადოვი საქართველოში ოჯახთან ერთად ბოლო ორი წლის განმავლობაში ცხოვრობდა. ის მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას გამოგონილს უწოდებს.

როგორც მისი ადვოკატი ალექსანდრე თათელიშვილი „რადიო თავისუფლებასთან“ საუბარში აცხადებს, 9 თვის წინ ახიადოვი ქუთაისში პოლიციამ მანქანის არასწორი პარკირებისას გააჩერა და სწორედ მაშინ გაირკვა, რომ ის ინტერპოლით ძებნილი იყო. მას შემდეგ ახიადოვი რუსთავის №6 დაწესებულებაში იმყოფებოდა.

ახიადოვი საქართველოს ხელისუფლებას სთხოვდა, უარი ეთქვა მის ექსტრადიციაზე, რადგან მისი თქმით, რუსეთში არაადამიანური მოპყრობა ემუქრებოდა და არც სამართლიანი სასამართლოს იმედი ჰქონდა.

ახიადოვის ადვოკატის განცხადებით, საქმის მასალებითაც არ არის დასაბუთებული ის ბრალდებები, რაც რამზან ახიადოვის მიმართ რუსეთის პროკურატურას გააჩნია.

– საქმეში არის მხოლოდ რუსეთის პროკურატურის დადგენილებები, მეტი მტკიცებულება იქ არ დევს. სახელმწიფო ჩვენ გვეუბნება, რომ რუსეთში არ არის ისეთი საფრთხე, რომ მას რამე დაემუქროს, – აცხადებს თათელიშვილი.

ხაშურთან ტრაილერი პატრულის მანქანას დაეჯახა

ეკიპაჟის დაშავებული წევრი თბილისში ვერტმფრენით გადაიყვანეს

გუშინ, 19 სექტემბერს, ხაშური-აგარის გზაზე ტრაილერი პატრულის მანქანას დაეჯახა, რომელიც სათადარიგო ზოლში იდგა.

დაშავებულია ეკიპაჟის ორივე წევრი. ერთ-ერთი მათგანის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა. საპატრულო პოლიციის თანამშრომელი ქარელის საავადმყოფოდან შსს-ს ვერტმფრენით თბილისში გადაიყვანეს.

– გორმედის ქსელის, ქარელის ცენტრალურ საავადმყოფოში, პაციენტი შემოიყვანეს კომატოზური მდგომარეობით. მას ჩაუტარდა ყველა საჭირო კვლევა, მათ შორის მაღალტექნოლოგიური კვლევები, გაეწია პირველადი დახმარება და ჩატარებული რეანიმაციული ღონისძიებების საფუძველზე მიღწეული სტაბილიზაციის შემდგომ, გადაწყდა შემდგომი მკურნალობისთვის მისი დედაქალაქში გადაყვანა.

პაციენტის მდგომარეობა უკიდურესად მძიმეა, – განაცხადა გორმედის ქსელის რეანიმაციული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დავით ყაზაიშვილმა.

თბილისში სიგარეტის ნამწვის გამო 2 მანქანა დაიწვა

თემქაზე, ჩარგლის 79-ში, 18 სექტემბერს, ღამით, 2 ავტომობილი დაიწვა.

ადგილზე სახანძრო-სამაშველო სამსახური იყო მობილიზებული.

ერთ-ერთი ვერსიით, კორპუსის ზედა სართულიდან სიგარეტის ნამწვი გადმოაგდეს, რომელიც იქვე, პარკინგზე მდგარ მანქანასთან დაგდებულ ქაღალდს დაეცა, საიდანაც გაჩენილი ცეცხლი ავტომობილებს მოედო.

ნეთანიაჰუ მთავარ კონკურენტ განცს ფართო კოალიციას სთავაზობს

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბენიამინ ნეთანიაჰუმ არჩევნებზე მთავარ კონკურენტ ბენი განცს კოალიციური მთავრობის ჩამოსაყალიბებლად კონსულტაციებისთვის ნებისმიერ დროს შეხვედრა შესთავაზა.

– ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ ფართო ერთიანობის მთავრობა, – განაცხადა ნეთანიაჰუმ.

სამშაბათს გამართული განმეორებითი არჩევნების შედეგად ნეთანიაჰუს მემარჯვენე ცენტრისტული ბლოკის „ლიკუდის“ პოზიციები გაუარესდა. ხმების 97 პროცენტის დათვლის შემდეგ მას 120-კაციან კნესეტში 31 მანდატი აქვს. სამპარტიულ მემარცხენე-ცენტრისტულ ალიანს „კაჰოლ ლავანს“, რომელსაც ბენი განცი მეთაურობს – 33 მანდატი.

ტრადიციულ მოკავშირეებთან, ულტრაორთოდოქს მემარჯვენეებთან ერთად ნეთანიაჰუს 55 მანდატის მოგროვება შეუძლია, ბენი განცს სხვა მემარცხენეებთან ერთად – 57-ის.

ამ მომენტისთვის არც ერთს არ აქვს გარანტირებული 61-კაციანი უმრავლესობა. ძალთა განლაგებისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება ავიგდორ ლიბერმანის პარტია „ჩვენი სახლი ისრაელიას“ პოზიციას, რომელსაც 8 მანდატი აქვს.

ირანს ახალ სანქციებს დაუწესებენ

აშშ-ის ვიცეპრეზიდენტმა მაიკ პენსმა ირანი ტერორიზმის სპონსორობაში დაადანაშაულა. მისი აზრით, სწორედ თეირანი დგას როგორც საუდის არაბეთის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე თავდასხმის, ასევე სხვა ბევრი ტერაქტის უკან.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა მაიკ პომპეომ განაცხადა:

– საუდის არაბეთის ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე თავდასხმა ომის დაწყების ტოლფასია!

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ ირანზე ზემოქმედების რამდენიმე ვარიანტი განიხილება. უდავოა ერთი: თეირანს ახალ, უფრო რადიკალურ სანქციებს დაუწესებენ.

– უახლოესი ორ დღის განმავლობაში ცნობილი გახდება, თუ კონკრეტულად რა სანქციები დაწესდება ირანის მიმართ, – ამბობს ტრამპი.

ავღანეთში თალიბანის თავდასხმას 20 ადამიანი შეეწირა

ავღანეთში თალიბანის მიერ განხორციელებულ თავდასხმას, სულ მცირე, 20 ადამიანი შეეწირა.

აფეთქება ქვეყნის სამხრეთ რეგიონში მდებარე ქალაქ ქალატში, საავადმყოფოსთან მოხდა. შედეგად დაინგრა კლინიკის შენობა. დაშავებულია 100-მდე ადამიანი. მსხვერპლთა უმრავლესობა ექიმები და პაციენტები არიან.

როგორც მოძრაობა თალიბანი აცხადებს, მის სამიზნეს სამთავრობო სადაზვერვო შენობა წარმოადგენდა, რომელიც საავადმყოფოს გვერდით მდებარეობს.

ავღანეთის თავდაცვის სამინისტროს ცნობით, უზარმაზარი ასაფეთქებელი მოწყობილობა შემთხვევის ადგილზე მცირე ზომის სატვირთო მანქანით მიიტანეს.

თალიბანის მიერ განხორციელებული თავდასხმების შედეგად აგვისტოში, სულ მცირე, 473 ადამიანი დაიღუპა.

მოძრაობა აცხადებს, რომ ისინი მშვიდობიან მოქალაქეებს არ ესხმიან თავს და მათი სამიზნე უცხოელი სამხედროები და მთავრობისა და უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები არიან.

სროლა კიევში

უკრაინის დედაქალაქში სერიოზული ექსცესი მოხდა. უცნობმა მამაკაცმა მეტროს ხიდზე სროლა ატეხა, შემდეგ კი ხიდის აფეთქებით დაიმუქრა. პოლიციის მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად მამაკაცი დააკავეს.

მას ალექსეი ბელკო ჰქვია. ის ყირიმიდან არის. უკრაინულ არმიაში კონტრაქტით მსახურობდა, თუმცა შემდეგ ჯარიდან დაითხოვეს.

დადგინდა, რომ ბელკოს მისმა სატრფომ უარი უთხრა და სხვას გაჰყვა. მანაც პასუხად ხიდის აფეთქება მოისურვა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მამაკაცმა დრონის დახმარებით ზვიგენი შენიშნა და სერფერი გადაარჩინა

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატში მამაკაცმა ჰაერში დრონი გაუშვა, წყალში ზვიგენი შენიშნა და სერფერი მისი თავდასხმისგან გადაარჩინა. ამ შემთხვევის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

კრისტოფერ ჯოი დრონს შტატის ერთ-ერთ პლაჟზე მართავდა, რა დროსაც მისი ყურადღება დაახლოებით 3,5 მეტრი სიგრძის ზვიგენმა მიიპყრო, რომელიც სერფერის შორიახლოს მიცურავდა. მამაკაცმა მოწყობილობის ხმის გამაძლიერებლები დაუყოვნებლივ გააააქტიურა და სპორტსმენი მტაცებელი თევზის ახლოს ყოფნის თაობაზე გააფრთხილა.

სერფერმა გაფრთხილება გაიგონა, დაფა მოაბრუნა და ნაპირისკენ გამოცურა, ზვიგენი კი ოკეანის სიღრმისკენ გაემართა.

– შესაძლოა ეს მთელ მსოფლიოში პირველი შემთხვევაა, როდესაც დრონის პილოტმა ზვიგენის თავდასხმა აღკვეთა გაფრთხილების შედეგად, – განაცხადა ჯოიმ. მან ასევე აღნიშნა, რომ თავისუფალ დროს, როგორც წესი, პლაჟზე დრონს უშვებს და მისი დახმარებით ზვიგენებს ეძებს. მან სპეციალურად იყიდა ხმის გამაძლიერებლებიანი მოწყობილობა, რათა მისი საშუალებით სერფერები ან მოცურავეები მტაცებელი თევზის მიაახლოების თაობაზე გააფრთხილოს.

ჯოი ვარაუდობს, რომ ვიდეოზე დიდი თეთრი ზვიგენია ასახული, რომელიც ადამიანის სიცოცხლისთვის საშიშროებას წარმოადგენს.

ნაყინის საყიდლად წასული ცოლ-ქმარი გამდიდრდა

ამერიკის კანზასის შტატის ქალაქ ვაშინგტონის მცხოვრებნი ნაყინის საყიდლად წავიდნენ და ნუგბართან ერთად მომგებიანი ლატარიის ბილეთიც შეიძინეს.

კაილი ნიკელმა ისაუბრა იმის შესახებ, რომ ის და მისი მეუღლე სახლიდან ნაყინის შესაძენად გამოვიდნენ და მის გარდა მომენტალური ლატარიის რამდენიმე ბილეთიც იყიდეს, რომელიც კროსვორდის სახისაა და რომელზეც ციფრების ნაცვლად ასოები უნდა გადაიფხიკოს.

– ჩვენ ყოველთვის ვიღებთ კროსვორდებს, ვინაიდან ეს უფრო მხიარულია და არც ისე სწრაფია, როგორც ეს ჩვეულებრივი ლატარიის შემოწმებისას ხდება, – განმარტა ნიკელმა.

მისი თქმით, მეუღლის ბილეთი მომგებიანი არ აღმოჩნდა. შემდეგ მათ კაილის ბილეთი შეამოწმეს და გადაწყვიტეს, რომ ორი ათასი დოლარი მოიგეს. სახლში დაბრუნების შემდეგ მათ თამაშის შედეგები გადაამოწმეს და აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში მათმა მოგებამ 20 ათასი დოლარი შეადგინა.

წყვილი მოგებული თანხით ვალების გასტუმრებას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● დიაბეტური დაავადებების, ხერხემლის გამრუდების, ბავშვებში ბრტყელტერფიანობის, ყურებში შუილის, სმენის დაქვეითების მკურნალობა. მოგემსახურებათ გაეროს სერტიფიკატის მფლობელი ექიმი თამარ შავერდოვა. ტელ: 579-281-766..

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართანებისმიერიპრობლემისმოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

● ალკოჰოლიზმის მკურნალობა მცენარეული საშუალებებით (შეგიძლიათ შეურიოთ საკვებში ფარულად) „პახმელია“, ზაპოი“, ნერვული აღგზნებულობა, ღვიძლის პრობლემები (ციროზი) და სხვა – მხოლოდ მცენარეული და ფუტკრის პროდუქტებით. ტელ: 599-45-88-66; 597-98-95-99; 557-35-22-65. სერტიფიცირებული ექიმი, ფიტოთერაპევტი ნინო. მისამართი: ჭავჭავაძის 3, აღმაშენებელზე.

საქართველო ფიფას რეიტინგში 91-ე ადგილზეა

საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ნაკრები ფიფას მიერ განახლებულ ტრადიციულ რეიტინგში 3 პოზიციით დაწინაურდა და 1.264 ქულით 91-ე ადგილი უკავია.

ფიფას რეიტინგი ივლისის მერე არ განახლებულა. ამ პერიოდში ვლადიმირ ვაისის შეგირდებმა 2 მატჩი ჩაატარეს და ორივე ფრედ დაასრულეს. სამხრეთ კორეასთან თურქეთში გამართული შეხვედრა 2:2 დამთავრდა, თბილისში კი დანიასთან ევრო 2020-ის შესარჩევი თამაში უგოლოდ დასრულდა.

შედეგად, ქართველმა ფეხბურთელებმა 8 სარეიტინგო ქულა შეიმატეს, ლუქსემბურგის, ლიბანისა და კვიპროსის ნაკრებები ჩამოიტოვეს და ახლა კვალში კონგოს უდგანან, რომელიც ჩვენებურებს 1 ქულით უსწრებს.

საინტერესოა, რომ საქართველოს ნაკრები წლის პირველ რეიტინგშიც სწორედ 91-ე საფეხურს იკავებდა, ამდენად, გუნდი საწყის ნიშნულს დაუბრუნდა.

საქართველოს ნაკრები წლის ბოლომდე კიდევ სამ საკვალიფიკაციო მატჩს ჩაატარებს: 12 ოქტომბერს შინ ირლანდიას ეთამაშება, 15 ოქტომბერს გიბრალტართან სტუმრად გამართავს შეხვედრას, ხოლო 15 ნოემბერს ასევე სტუმრად შვეიცარიას შეხვდება.

ჩვენი ჯგუფის მეტოქეებიდან შვეიცარია მე-11 ადგილზეა, დანიას მე-14 პოზიცია უკავია, ირლანდიას – 28-ე, ხოლო გიბრალტარს – 197-ე.

ფიფას კლასიფიკაციაში 1.752 ქულით პირველობას ისევ ბელგიის ნაკრები ინარჩუნებს. საუკეთესო ათეულში ასევე შედიან: საფრანგეთი, ბრაზილია, ინგლისი, პორტუგალია, ურუგვაი, ესპანეთი, ხორვატია, კოლუმბია, არგენტინა.

მამაკაცს გრიზლისთან ჩხუბი ძვირად დაუჯდა

კანადაში მამაკაცი დათვ გრიზლისთან ჩხუბის გამო რამდენიმე ათასი დოლარით დააჯარიმეს.

ინციდენტი ალბერტის პროვინციაში მდებარე ბანფის ეროვნულ პარკში მოხდა. ფოტოგრაფების თვალწინ, რომლებიც ტბა პეიტოს მახლობლად მშვიდად ადევნებდნენ თვალს მარტოხელა გრიზლის, პროვინცია სასკანჩევანის მკვიდრმა დევინ მიტსუინგმა ცხოველს ყვირილი დაუწყო. შემდეგ მან დათვს რამდენიმე ქვა ესროლა და მოკრივის პოზაში დადგა. შედეგად დათვი გაიქცა და ტყეს შეაფარა თავი. ეს ყოველივე დაახლოებით ათ წუთს გრძელდებოდა.

ფოტოგრაფებმა პოლიცია გამოიძახეს. სამართალდამცავებმა დადგინეს, რომ მიტსუინგი და მისი მეგობრები ნასვამები იყვნენ. მათ ჩამოართვეს სატვირთო მანქანა და სასტუმრომდე მიიყვანეს. მოგვიანებით კანადელმა განაცხადა, რომ ის ჩვეულებრივ დათვს გადაეყარა და, უბრალოდ, სურათის გადაღება სურდა.

ქალაქ კანმორში გამართულ საქმის სასამართლო მოსმენაზე მოსამართლე ჯორჯ გაშლერმა მიტსუინგი დამნაშავედ ცნო და ჯარიმის სახით ოთხი ათასი კანადური დოლარის გადახდა დააკისრა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მსახიობი მარლენ ეგუტია გარდაიცვალა

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი მარლენ ეგუტია 82 წლის ასაკში გარდაიცვალა. მსახიობმა ნახევარი საუკუნე მარჯანიშვილის თეატრში გაატარა და არაერთი დაუვიწყარი როლი შექმნა. მადლიერმა მაყურებელმა მას მშობლიური თეატრის წინ 80 წლის იუბილეზე სახელობითი ვარსკვლავი გაუხსნა.

სამწუხარო ინფორმაცია მარლენ ეგუტიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით მარჯანიშვილის თეატრმა გაავრცელა:

– გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტისტი, 1969 წლიდან მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი, ბატონი მარლენ ეგუტია.

მარჯანიშვილის თეატრი მწუხარებას გამოთქვამს ბატონი მარლენის გარდაცვალების გამო და უსამძიმრებს მის ოჯახს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ნანა გოგოლაშვილი-ბახტაძის გახსენება

სიცარიელე, რომელსაც გარდაცვლილი ადამიანი ტოვებს, ძალიან ძნელი ამოსავსებია.

ტკივილიანი ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ჩვენი კლინიკის პროფესიონალმა, ერთგულმა და გულისხმიერმა ექიმმა ნანა გოგოლაშვილმა-ბახტაძემ მოულოდნელად დაგვტოვა და მოუშუშებელი ტკივილი დაგვიტოვა თითოეულ თანამშრომელს.

ნათელში იყოს მისი სული და მსუბუქი იყოს მისთვის მშობლიური მიწა!

ოსსუ აპოლონ ურუშაძის სახელობის სტომატოლოგიური კლინიკის თანამშრომლები

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

რეალმა პსჟ-სთან წააგო, იუვენტუსმა მოგება ბოლოს დაკარგა

ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის მე-2 სათამაშო დღე არანაკლებ საინტერესო და დაძაბული გამოდგა. განსაკუთრებულად გამოსარჩევი მატჩები ა და დ ჯგუფებში გაიმართა.

ა ჯგუფი

პსჟ-ჩეაღი 3:0

1:0, 2:0 დი მარია (14, 33), 3:0 მუნიე (90)

ფრანგულმა პარი სენ ჟერმენმა თავდამსხმელთა წამყვანი ტრიოს (ნეიმარი, მბაპე, კავანი) გარეშე 3:0 დაამარცხა მადრიდის რეალი, თუმცა რეალსაც აკლდა ფეხბურთელთა მთელი არმია – რამოსი, მოდრიჩი, ისკო, ასენსაო...

ლიდერების არყოფნაში პსჟ-ს დი მარია გაუძღვა, რომელმაც დუბლი მიითვალა. დი მარია მე-3 ფეხბურთელია, რომელმაც რეალთან და ბარსელონასთან დუბლები შეასრულა. აქამდე ეს ბრაზილიელმა ჟარდელმა და უკრაინელმა შევჩენკომ შეძლეს.

ჩემპიონთა ლიგაზე 2003-04 წლების სეზონის შემდეგ პირველად მოხდა, რომ რეალს კარში არ დაურტყამს ბურთი.

ეს გასაკვირიც არ არის – რეალს შეტევაში უჭირდა. მართალია, 2 გოლი გაიტანა, მაგრამ ორივე სამართლიანად გაუუქმდა. ფრანგული კლუბი კი შესანიშნავად გამოიყურებოდა მთელი მატჩის მანძილზე და მისი გამარჯვება კანონზომიერია.

ბრიუგე-გალათასარაი 0:0

ანგარიში ზუსტად ასახავს მატჩის პერიპეტიებს. ბრიუგესა და გალათასარაის შეხვედრაში მომენტები იშვიათად იქმნებოდა და ლოგიკური ფრით დასრულდა.

ბ ჯგუფი

ბაიერნი-ცრ.ზვეზდა 3:0

1:0 კომანი (34), 2:0 ლევანდოვსკი (80), 3:0 მიულერი (90)

ბავარიული კლუბი სრულ უპირატესობას ფლობდა მეტოქესთან და დამსახურებული გამარჯვებაც მოიპოვა.

პირველმა გოლმა ცოტა დაიგვიანა – ბაიერნს ადრეც შეეძლო გატანა, მაგრამ კინგსლი კომანმა ეს მხოლოდ 34-ე წუთზე მოახერხა. მომდევნო გოლამდეც დიდი პაუზა იყო, მაგრამ რობერტ ლევანდოვსკიმ და ტომას მიულერმა ბოლო 10 წუთში გატეხეს ბელგრადელთა კარის გასაღები.

ოლიმპიაკოსი-ტოტენჰემი 2:2

0:1 კეინი (26პ), 0:2 მოურა (30), 1:2 პოდენსე (44), 2:2 ვალბუენა (54პ)

ფავორიტად ტოტენჰემი მიიჩნეოდა, მაგრამ თამაში უფრო აქტიურად ოლიმპიაკოსმა დაიწყო. მიუხედავად ამისა, პოჩეტინიოს შეგირდებმა გამონახეს მეტოქის კართან მისასვლელი გზა და ნახევარი საათის თავზე 2 ბურთით იგებდნენ.

მასპინძლები არ გატყდნენ: ჯერ ტაიმის ბოლოს პოდენსემ შეამცირა სხვაობა, ხოლო მე-2 ტაიმში ვალბუენამ სულაც გაათანაბრა.

მატჩის ბოლომდე დიდი დრო იყო დარჩენილი, მაგრამ მეტი გოლი აღარ გასულა.

ც ჯგუფი

დინამო (ზ)-ატალანტა 4:0

1:0 ლეოვაცი (11), 2:0, 3:0, 4:0

ორსიჩი (31, 42, 68)

ზაგრების დინამომ შინაურ „მაკსიმირზე“ ატალანტა არ დაინდო და 4:0 გაანადგურა. ზაგრებელთაგან გამოსარჩევია ორსიჩის თამაში, რომელმაც ჰეთ-თრიკი შეასრულა.

შეგახსენებთ, დინამომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენებური საბურთალო გამოაგდო.

შახტარი-სიტი 0:3

0:1 მარეზი (24), 0:2 გიუნდოგანი (38), 0:3 გაბრიელ ჟეზუსი (76)

მიუხედავად იმისა, რომ სიტის საკადრო პრობლემები ჰქონდა, მაინც იოლად მოიგო ხარკოვში, სადაც დონეცკური გუნდი მასპინძლობს მეტოქეებს.

შახტარელთა შემადგენლობაში კი ტრავმის გამო დავით ხოჭოლავამ ვერ ითამაშა.

აღსანიშნავია, რომ ეს გუნდები მესამედ მოხვდნენ ერთ ჯგუფში და აქამდე ჩატარებულ 5 შეხვედრაში სიტიმ „მეშახტეებს“ 15 გოლი გაუტანა.

დ ჯგუფი

ატლეტიკო-იუვენტუსი 2:2

0:1 კუადრადო (48), 0:2 მატუიდი (65), 1:2 სავიჩი (69), 2:2 ერერა (90)

ტურის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მატჩი მადრიდში, „ვანდა მეტროპოლიტანოზე“ გაიმართა.

ატლეტიკო საკუთარ მოედანზე 0:2-ს აგებდა იუვენტუსთან, მაგრამ, იმდენი მოახერხა, რომ ფრეს მიაღწია.

არადა, რონალდუს ზედ მსაჯის საფინალო სასტვენის წინ შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ ბურთი კარს ოდნავ ააცილა.

ლევერკუზენი-ლოკომოტივი 1:2

0:1 კრიხოვიაკი (16), 1:1 ჰიოვედესი (25სკ), 1:2 ბარინოვი (37)

ლოკომოტივმა გერმანიაში 2:1 დაამარცხა ლევერკუზენი. თუ „რკინიგზელთა“ შარშანდელ გამოსვლას გავიხსენებთ ამავე ტურნირზე, ეს შედეგი უდავოდ დიდი მიღწევაა.

არადა, ყველა ექსპერტი ლოკომოტივს ჯგუფში ჩარჩენას უწინასწარმეტყველებდა. ახლა კი მოვლენები ისე ვითარდება, რომ ლოკოს ევროპის ლიგაზე გადასვლა შეუძლია.

ჰო, ლოკომოტივის განაცხადში არ იყო ტრავმირებული საბა კვირკველია.

მოამზადა მანუელ ჟორჟოლიანმა

შედეგები

18 სექტემბერი

ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

პსჟ-რეალი	3:0
ატლეტიკო-იუვენტუსი	2:2
დინამო (ზ)-ატალანტა	4:0
ლევერკუზენი-ლოკომოტივი	1:2
ბრიუგე-გალათასარაი	0:0
ოლიმპიაკოსი-ტოტენჰემი	2:2
ბაიერნი-ცრვენა ზვეზდა	3:0
შახტარი-სიტი	0:3

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. საერთაშორისო საბანკო ანგარიშსწორების ჩეკი; 2. ჯინის გასაზავებელი უალკოჰოლო სასმელი; 3. მომავლის რწმენა; 5. ჯიხვების ჯოგი; 6. ძველებური სავაჭრო სასადილო; 8. ოთარ თაქთაქიშვილის ოპერა; 11. კუჭქვეშა ჯირკვალი; 13. შემწვარი ინდაურისგან მომზადებული ბრიტანული საშობაო კერძი; 14. მომთაბარე არაბი; 15. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანება; 19. ზოდიაქოს ნიშანი.

თარაზულად: 1. პიროვნების გაძევება სახელმწიფოდან; 4. პიროტექნიკური ტკაცუნა; 7. ტრამვაის მძღოლი; 9. მეთორმეტე საუკუნის ქართველი მხატვარი, მოხატა უბისის მონასტერი; 10. ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების საერთაშორისო გაერთიანება; 12. შვეიცარიელი ჩოგბურთელი მამაკაცი; 16. მხარე გერმანიაში; 17. მათემატიკური დებულება, რომლის მართებულობასაც ადგენენ მტკიცების გზით; 18. ვაშლის ქართული ჯიში; 20. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 21. მაღალი განმავლობის მსუბუქი ავტომობილი; 22. სპილენძის შენადნობი ნიკელთან.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ექსპრომტი; 2. ერუდიტი; 3. ფიგარო; 4. ჩანგი; 5. არემჯი; 11. ბიკილა; 12. ბაცილა; 14. ჟირო; 16. ლანცეტი; 17. გურიელი; 19. რეცეპტი; 21. ბარბი; 22. შატლი.

თარაზულად: 6. ოქსფორდი; 7. სტატორი; 8. გიუმი; 9. ტრამპი; 10. რაგბი; 13. სტაჟი; 15. პლებისციტი; 18. დავლური; 20. ურდო; 21. ბაგეტი; 23. ფილანტროპი; 24. ლოკალი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. გვარლი; 2. ვალიზა; 3. ნამყო; 5. გომი; 6. მორიტა; 8. გრინგო; 11. ალპინიადა; 13. ჩაპლინი; 14. დუბლინი; 15. ჰიმალაი; 19. ტარო.

თარაზულად: 1. გლინტვეინი; 4. ორიგამი; 7. ამსტელი; 9. ყაირათი; 10. ფანზა; 12. სინეკურა; 16. ჩოქბჯენი; 17. ოპუნცია; 18. ალტრუისტი; 20. დესპანი; 21. ჯიღა; 22. ოქსფორდი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 სექტემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.9738

ევრო — 3.2902

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.7027

100 რუსული რუბლი — 4.6131

ამინდის პროგნოზი 20 სექტემბერი

17 სექტემბრიდან

რევაზ მიშველაძე

რჩეული ნოველები

ორტომეული

ტომი 1

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

1 ოქტომბრიდან

რევაზ მიშველაძე

რჩეული ნოველები

ორტომეული

ტომი 2

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

ლუკაკუმ და ბროზოვიჩმა სლავიასთან მატჩის შემდეგ იჩხუბეს

ინტერმა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ შეხვედრაში ჩეხური სლავია საკუთარ მოედანზე ვერ დაამარცხა.

მატჩის შემდეგ ინტერის ფეხბურთელებს კონფლიქტი მოუვიდათ. ეს ლუკაკუსა და ბროზოვიჩს შორის მოხდა, როდესაც ლუკაკუმ ბროზოვიჩის პასიური თამაშის გამო პრეტენზია გამოთქვა.

მოთამაშეები თანაგუნდელებმა გააშველეს.

ინტერს ამ საკითხზე ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.

ასტროპროგნოზი

20 სექტემბრისთვის

ვერძი – შემოქმედებითი პროფესიის ადამიანებს ფორტუნა გიღიმით. ასევე წარმატებული დღეა საბიუჯეტო სფეროს მუშაკებისთვის. ინტუიციას ნუ მიენდობით, რეალობის აღქმა შეინარჩუნეთ. **კურო** – ოჯახში ჰარმონია და სიყვარული თქვენს ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახება. მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას გონივრულად მიიღებთ. **ტყუპები** – მოზღვავებული ენერგია საშუალებას მოგცემთ, გრძელვადიანი გეგმების განხორციელებას თამამად შეუდგეთ. ოღონდ ნუ გარისკავთ, რათა მოტყუებული არ დარჩეთ. **კირჩხიბი** – კონფლიქტური სიტუაციების ალბათობა საკმაოდ მაღალია. ერიდეთ საქმის გარჩევებს ხელმძღვანელობასთან და კოლეგებთან. **ლომი** – მშვენიერი პერიოდია უკვე დამთავრებული საქმეების გასაანალიზებლად, ახალი გეგმების შესამუშავებლად. თქვენი მომხიბვლელობის წყალობით ახალ მოკავშირეებს იოლად შეიძენთ. **ქალწული** – ოპტიმიზმი და სიცოცხლის სიყვარული წარმატებას მოგიტანთ პროფესიულ საქმიანობაში. ემოციებს არ აჰყვეთ. მშვიდად იმუშავეთ. **სასწორი** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. მიზანი დაისახეთ და მის განხორციელებას შეუდექით, ოღონდ თავს ნუ დაკარგავთ. გრძნობები აკონტროლეთ. **ღრიანკალი** – კეთილისმყოფელი დღეა. სასიცოცხლო პოტენციალი იზრდება. იმედითა და რწმენით სავსე ხართ. დღევანდელი დღის მოვლენები თქვენს მომავალზეც იმოქმედებს. **მშვილდოსანი** – ეს დღე განსაკუთრებით იღბლიანია ქალებისთვის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ სიმპათიით არიან განწყობილი. ყველაფერი საკმაოდ იოლად გამოგდით. **თხის რქა** – ცოტა დეპრესიული განწყობა გაქვთ. შესაძლოა საქმიანობის სფეროს შეცვლა მოგიხდეთ. იმპულსურობა და ემოციურობა ცუდ სამსახურს გაგიწევთ. **მერწყული** – კარგი დღეა ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობისათვის. ეცადეთ, მხოლოდ ცივი გონებით იმოქმედოთ. თუ კარგად იმუშავებთ, შრომა დაგიფასდებათ. **თევზები** – მთლიანობაში კეთილისმყოფელი დღეა. ერიდეთ ეგოისტ და საკუთარ თავზე შეყვარებულ ადამიანებს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– შენი ცოლი რომ სიმღერას იწყებს, შენ გარეთ რატომ გამოდიხარ?

– არ იფიქრონ, რომ ვაწამებ...

•••

საბავშვო ბაღში ერთი ბავშვი მეორეს ეკითხება:

– შენ მშობლებს მულტფილმების ეშინიათ?

– არა.

– ჩემებს კი ეშინიათ. როგორც კი მულტფილმი დაიწყება, საწოლში წვებიან, თავზე საბანს დაიფარებენ და კანკალებენ...

•••

გიგი სკოლის დირექტორის კაბინეტში შედის და ეუბნება:

– ბატონო დირექტორო, მასწავლებელმა გამომაგდო და ასე მითხრა, ეშმაკებამდე გზა გქონიაო...

– მერე?

– ჰოდა, მეც მოვედი...

•••

ტელეფონი რეკავს და მამაკაცი კითხულობს:

– ალო, პოლიციაა?

– დიახ, რაშია საქმე?

– დამეხმარეთ, ცოლი დამეკარგა.

– დაწვრილებით აღგვიწერეთ.

– ერთი წუთით, მაგრამ მინდა გაგაფრთხილოთ, რომ როდესაც იპოვით, არავითარ შემთხვევაში არ აჩვენოთ ჩემი აღწერილობა, თორემ, მერე ჩემი მოძებნა მოგიწევთ.

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– მართალია, რომ თითქმის ყველა ომი ქალის გულისთვის იწყებოდა?

– რა თქმა უნდა! ამდენი დებილები გააჩინეს და აბა რა იქნებოდა!

•••

ნათესავი ქალს ეკითხება:

– ეს რანაირად ცხოვრობთ, შენ და შენი ქმარი? ცალ-ცალკე ოთახში გძინავთ!

– თუ მას მოუნდება სექსი, მისტვენს.

– და თუ შენ?

– მაშინ ვეძახი: „ძვირფასო, დაუსტვინე?“

•••

მამა შვილს ეკითხება:

– შვილო, აუზზე რომ დადიხარ, ხომ არ შარდავ?

– არა, მამიკო, პატარა ხომ აღარ ვარ.

– იცოდე, იქ სპეციალურ სითხეს უშვებენ, როგორც კი მოშარდავ, წყალი გალურჯდება.

– არაფერსაც არ ლურჯდება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მთავარი არხის პირველი შვილი ნიკა გრიგოლიას გოგონა გახდა

ტელეკომპანია მთავარი არხის პირველი შვილი იუმორისტ ნიკა გრიგოლიას გოგონა გახდა.

ნიკა გრიგოლიასა და მის მეორე მეუღლეს მარია ფაღავას გოგონა შეეძინათ. დედა-შვილი თავს კარგად გრძნობს. მშობლებმა უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილები მიიღეს.

სწორედ ნიკას გოგონა გახდა მთავარი არხის პირველი შვილი. სასიხარულო ინფორმაციაც მთავარმა არხმა გაავრცელა:

– მთავარი არხის პირველი შვილი – ნიკა გრიგოლიას გოგონა შეეძინა.

ნიკა გრიგოლია – გილოცავთ!

ნიკა არაბიძე ახალ შოუს იწყებს

იუმორისტი ნიკა არაბიძე ახალ იუმორისტულ შოუს ტელეკომპანია რუსთავი 2-ზე იწყებს.

„ნიკა არაბიძის შოუ“ – ასე ეწოდება იუმორისტულ გადაცემას, რომელიც ტელეკომპანია რუსთავი 2-ის ეთერში სულ მალე გავა.

გადაცემის სარეკლამო ვიდეორგოლი ინტერნეტში უკვე გავრცელდა. მაყურებლის აზრი ორად გაიყო, ნაწილმა ნიკა არაბიძეს რუსთავი 2-ში დარჩენის გამო მოღალატე უწოდა, ნაწილმაკი ახალბედა წამყვანს წარმატებები უსურვა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ზიდანი: „პსჟ-მ დაგვჩაგრა და ეს მაღიზიანებს“

მადრიდის რეალმა ჩემპიონთა ლიგა პსჟ-სთან მარცხით დაიწყო და ზიდანის გუნდმა პარიზში 0:3 წააგო. მატჩის შემდეგ ზიდანმა ბევრი ისაუბრა და თქვა, რომ მას წაგებაზე მეტად თამაშის ხარისხი აღიზიანებს და რეალი გაცილებით უკეთესად უნდა გამოიყურებოდეს:

– ჩვენ რეალი ვართ და ასეთი თამაში, უბრალოდ, არ გვეკადრება. მინდა, გულშემატკივარს ბოდიში მოვუხადო. როდესაც გუნდი აგებს, ეს ყველა ფეხბურთელის ბრალია და ვინმეს გამოყოფას არ ვაპირებ. ყველაზე მეტად ის მაღიზიანებს, რომ პსჟ-მ ყველა კომპონენტში გვაჯობა და დაგვჩაგრა.

ნოიერი ნაკრებიდან წასვლას აპირებს

გერმანიის ნაკრების პირველი მეკარე მანუელ ნოიერი, შესაძლოა, მალე ნაკრებიდან წავიდეს. უფრო კონკრეტულად, სავარაუდოდ, ეს 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის შემდეგ მოხდება. ნოიერი ამ ინფორმაციას არ უარყოფს, თუმცა ჯერჯერობით მას არც დაუდასტურებია ეს ფაქტი.

ამ გადაწყვეტილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ნოიერის ასაკია და ის აპირებს, გზა შედარებით ახალგაზრდებს დაუთმოს. მის შემცვლელად, რა თქმა უნდა, ბარსელონის კარის დარაჯი მარკ ანდრე ტერ შტეგენი მოიაზრება.

მაურიციო სარი: „მოგება ხელიდან გავუშვით“

იუვენტუსის მთავარმა მწვრთნელმა მაურისიო სარიმ ატლეტიკოსთან მატჩის შემდეგ განაცხადა, რომ მისი გუნდი მოგებას იმსახურებდა, უბრალოდ, მატჩის ბოლოს კონცენტრაცია დაკარგა და ამის გამო დაისაჯა:

– ამ ფრეს მწარე გემო აქვს, რადგან 2:0 ვიგებდით და გამარჯვებასთან ძალიან ახლოს ვიყავით. ბოლო წუთზე დასანანი გოლი გავუშვით და სტანდარტულ მდგომარეობებზე აუცილებლად უნდა ვიმუშაოთ. ზოგადად ფრე კარგი შედეგი იქნებოდა, მაგრამ, როდესაც ორი ბურთით იგებ, ვალდებული ხარ, საქმე ბოლომდე მიიყვანო.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ბრიტანეთის ნაწილი; 2. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი, სოპრანო; 3. სპორტული სარბოლო ავტომობილი; 4. ესპანური სპორტული გაზეთი; 5. ლომების ჯოგი; 11. პათოსით წარმოთქმული გრძელი ფრაზა, მონოლოგი; 12. შტატი აშშ-ში; 14. მოთელილი მატყლისგან დამზადებული სქელი ქსოვილი; 16. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 17. ვაჭრობის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 19. კვიპროსის დედაქალაქი; 21. მე-16 საუკუნის ქართველი ოქრომჭედელი; 22. აღმოსავლური ტკბილეული.

თარაზულად: 6. მდინარე აშშ-სა და მექსიკაში; 7. მძლავრი ინტენსიური გამოსხივების მქონე კოსმოსური სხეული; 8. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი; 9. იაპონური თეატრი, სადაც ყველა როლს მამაკაცები ასრულებენ; 10. სამხედრო ტექნიკის მწარმოებელი ქართული ფირმა; 13. ძველებური კაჟიანი თოფი; 15. ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ქართველი მოჭიდავე; 18. ფრანგი მოდელიერი; 20. უბანი თბილისში; 21. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 23. საფრანგეთის ეროვნული ჰიმნი; 24. სამურაების მეთაური.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა